# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 11 იანვარი 2007 №3 (2926) ფასი 50 თეთრი



## ლომთა ლომი

მათე ღვინიანიძეს მიუნხენში აჩერებენ

3



## ახალი წელი და ახალი სარბიელი

მერანი მეორე წრეს თავისი სტადიონით შეხვდება

4



## სენსაციური გულწრფელობა

ჰანს-პეტერ ბრიგელმა ალჟირი ჯანდაბაში გაუშვა

5

# ზურაბ ხიზანიშვილს მოგების და ნიშნის მოგების შანსი აქვს

## ვისი შოტლანდიაა დაუხვდება ტოპმიოლერის საქართველოს?



ალექს მაკლიში



უოლტერ სმიტი

უოლტერ სმიტი შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელი აღარ არის — „მამაცი გულების" თავკაცმა თავისი მამაცურად გაიტანა და „გლაზგო რეინჯერსთან" გააფორმა კონტრაქტი. ეს ამბავი ჩვენთვის მნიშვნელოვანი იმითაა, რომ ევროშესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების უახლოესი მეტოქე სწორედ შოტლანდიაა. „სმიტს კონტრაქტის დარღვევისთვის პასუხს ვაგებინებთ" — განუცხადა შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ სააგენტო „როიტერს" და თან ახალი მწვრთნელის ძიებას შეუდგა. ბრიტანული **BBC**-ც მიდგა, მოდგა და... ალექს მაკლიში, გრემ სუნესი, ბილი დევისი, დევიდ მოიესი, ჯო ჯორდანი და კენი დალგლიში — შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაცია ამ ვარიანტებს განიხილავს. ფავორიტი მაკლიშია, ვინც „რეინჯერსში" შოთა არველაძეს და ზურაბ ხიზანიშვილს წვრთნიდა და ზურამაც იმიტომ დატოვა გლაზგო, რომ სწორედ მაკლიშმა აითვალწუნა. მოკლედ, შოტლანდიაში დიდი ამბებია: ცოტა ხნის წინ ნაკრების მხსნელად მიჩნეულ სმიტს დღეს მთელი ქვეყანა მოღალატედ მიიჩნევს.

## გოლიათმა დავითი დაამარცხა



## რეალმა ბექემი გაუშვა

დევიდ ბექემს კონტრაქტს აღარ გაუხანგრძლივებენ და სეზონის ბოლოს სხვაგან გადაბარგება მოუწევს — ამის შესახებ გუშინ „რეალის" სპორტულმა დირექტორმა პრედრაგ მიატოვიჩმა განაცხადა. „ბექემი წავა. მას კონტრაქტის გაგრძელების შანსი არ აქვს" — თქვა მიატოვიჩმა **Sky Italia**-სთან. დევიდ ბექემი 2003 წელს ალექს ფერგიუსონმა გაუშვა „მანჩესტერიდან" და იგი მადრიდულ კლუბში დიდი ზარ-ზეიმით მიიღეს, მაგრამ ინგლისის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა „რეალში" ღირებული ვერაფერი გააკეთა.

## ჩვენი მაკა და რუსის გოგო

დღეს მელბურნში სეზონის პირველი სლემტურნირის, ავსტრალიის ღია პირველობის საკვალიფიკაციო ეტაპი იწყება და საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი მაკა ჩახნაშვილი პირველ წრეში 15 წლის რუს ანასტასია პავლიუჩენკოვას შეხვდება.

რუსი თინეიჯერი ქალთა მიმდინარე რეიტინგში ჩახნაშვილზე გაცილებით დაბლა, სადღაც მეოთხე ასეულშია, მაგრამ, მეორე მხრივ, პავლიუჩენკოვა გოგონათა კლასიფიკაციას ლიდერობს, თანაც უზარმაზარი უპირატესობით და ტალანტებით ისედაც მდიდარი რუსული ქალთა ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავად ითვლება.



# ისევ უსაძირკვლო სახურავს მივადექით

## გვყავს ტოპი, გვინდა ჰოპი



ბადრი ქოთოლაძის ფოტო

**უახლოესი** მატჩი საქართველოს ეროვნულ ნაკრებს 7 თებერვალს აქვს — შინ ამხანაგურად გაეჯიბრება თურქეთს, ხოლო ევრო 2008-ის შესარჩევში უახლოეს შეხვედრას კლაუს ტოპმიოლერის გუნდი 24 მარტს გამართავს გლაზგოში შოტლანდიასთან.

თუ რა რესურსით აპირებს ტოპმიოლერის გუნდი ბრძოლას უახლოეს მატჩებში, ვფიქრობთ, საკმაოდ აქტუალური და მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

გუნდის შენება მეკარით იწყება და დახეთ, რა ვითარებაა ამ მხრივ ჩვენს უპირველეს გუნდში — **გიორგი ლომაია** უგუნდოდაა, ხოლო 19 წლის **ნუკრი რევიშვილის** ყაზანის „რუბინის“ პირველ გუნდში თამაშის პერსპექტივა ჯერაც ბუნდოვანია. ტოპმიოლერი ერიდება საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებზე დაყრდნობას და საამისოდ რკინისებური არგუმენტებიც აქვს, ანუ მისხალია იმის შანსი, რომ ტოპმიოლერი შოტლანდიასთან მატჩისთვის „ზესტაფონის“ მეკარე **გრიგოლ ჭანტურიაზე** ამყარებდეს იმედს.

ბევრად უკეთესი სიტუაციაა დაცვაში. მთავარნი **კახა კალაძე** და **ზურაბ ხიზანიშვილი** არიან, მაგრამ დაცვა ორკაციანი ვერ იქნება. მათე ღვინიანიძეს უწყვეტი სათამაშო პრაქტიკა აქვს „მიუნხენში“, თუმცა 19 წლისას სანაკრებო გამოცდილება ვერანაირად ვერ ექნება. ტოპმიოლერის გეგმაშია ფრაიბურგელი **ოთარ ხიზანეიშვილიც**, ვისაც შარშან ტრავმების გამო საუკეთესო სეზონი ნამდვილად არ ჰქონდა. ტოპმიოლერის თვალთახედვის არეში უნდა იყოს რუბინელი ლაშა სალუქვაძეც, თუმცა მასაც არასტაბილური სეზონი ჰქონდა შარშან.

ტოპმიოლერს ძალიან მოსწონს გიორგი შაშიაშვილი — ოდესის „ჩერნომორეცში“ სათამაშო პრაქტიკას მოკლებული მცველი მან იტალიასთან ძირითადში გაამწესა და შაშიაშვილმაც კარგად წარმოაჩინა თავი. ტოპი ალბათ კვლავაც სერიოზულად ფიქრობს კიევის დინამოელ დავით იმედაშვილზე, ვინც კლუბის პირველი გუნდის ძირითადში ჯერ არ დამკვიდრებულა.

ტოპმიოლერი ოთხი მცველით თამაშს ამჯობინებს და არითმეტიკულადაც კარგად ჩანს, რომ ამ რგოლში დიდი რეზერვი არ გააჩნია. მნიშვნელოვანი სანაკრებო მატჩისთვის ხომ, სულ მცირე, ხუთი ისეთი მცველია საჭირო, გამოცდილება-უნარიც რომ არ დაეწუნება და კონკრეტული მომენტისთვისაც კარგ ფორმაში იქნება — ოთხი მცველი და ერთიც სათადარიგო.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ და, ვთქვათ, კალაძე-ხიზანიშვილიდან რომელიმემ ვერ შეძლო შოტლანდიასთან თამაში, მაშინ ძალიან ძნელი სათქმელია, რა სირთულეების წინაშე აღმოჩნდება დაცვა, რომლის უკან, ვერ ვიტყვით, რომელი და როგორი მეკარე დადგება...

მეკარესა და დაცვაზე უკეთესი სიტუაცია უნდა იყოს ნახევარდაცვაში. ლევან კობიაშვილის გვერდით ურიგოდ გარჯა როდი შეუძლიათ დავით კვირკველიასა და ილია კანდელაკს. მზარდი ნახევარმცველია გოგიტა გოგუა, ვისაც „ნალჩიკზე“ უკეთეს გუნდში გადასვლა, წესით, არ უნდა გაუჭირდეს. პროგრესი აქვს ჯაბა კანკავასაც...

როგორც იქნა, მწვრთნელი დაინტერესდა ლადო ბურდულით, იმედია, ლევან ცქიტიშვილიც მოიკიდებს ფეხს „ალკმაარში“, ნაკრების ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელი **ზურაბ მენთეშაშვილი** კი ჯერ უგუნდოდაა...

მაგრამ საეჭვოა, შეძლებს თუ არა შოტლანდიასთან მატჩისთვის სრულად გამოჯანმრთელებას და ოპტიმალურ ფორმაში შესვლას **მალხაზ ასათიანი** — უასათიანობა ძალიან დიდი დანაკლისი იქნება საქართველოს ნაკრებისთვის. რაც შეეხება **დავით მუჯირს**, ის მარტის ბოლოსთვის უკვე ჯანზე უნდა იყოს.

ვერც თავდასხმაშია საქმე სანიმუშოდ. ნაკრების მთავარმეგოლე შოთა არველაძე მალე 34 წლის გახდება და მარჯვენა მუხლი, ფაქტობრივად, ქრონიკულად აწუხებს; **გიორგი დემეტრაძეს** ბოლო დროს თითქმის არ ჰქონდა სათამაშო პრაქტიკა დონეცკის „მეტალურგში“; ძველებურად ველარ ბრწყინავს „ფრაიბურგში“ ალექსანდრე იაშვილი; კიევის „დინამოში“ ფეხი მყარად ჯერაც ვერ მოიკიდა **ოთარ მარცვალაძემ**; **დავით სირაძე** აუე-ში საკვანძო შემტევია, თუმც მაღალი შედეგიანობით ჯერ ვერ გამოირჩევა; **მიხეილ აშვეთია** უგუნდოდაა...

არ უდგას იოლი დრო ტოპმიოლერის გუნდს. მაღალი კლასის მოთამაშეთა ნაკლებობით ერთხელაც იკვეთება ჩვენი ფეხბურთის სიღარიბე და გადაშლილი ხელის გულივით ჩანს, რომ ნაკრები მხოლოდ სახელიანი მწვრთნელის მოწვევა არ არის — საკითხი კომპლექსურია, რომლის გადაჭრა ჯერ მხოლოდ სახურავიდან დაიწყო და არა საძირკვლიდან.

**დავით თაბართქილაძე**



ბადრი ქოთოლაძის ფოტო

# აშვეთია იქაურს აქ ელის

**საქართველოს** ნაკრების თავდამსხმელმა მიხეილ აშვეთიამ და ყაზანის „რუბინმა“ კონტრაქტი აღარ გააგრძელეს და ქართველი ფეხბურთელი ჯერაც უგუნდოდაა. აშვეთიას ახალ კლუბზე მისი აგენტები მუშაობენ, იქამდე კი ფეხბურთელი თბილისშია.

როგორც შევიტყვეთ, აშვეთიას რამდენიმე ვარიანტი აქვს რუსეთიდან და უკრაინიდან და აგენტები მათგან საუკეთესოს არჩევენ.

აშვეთიამ კი ფორმის შესანარჩუნებლად ძალები ჯერ „ბენდელას თასის“ გათამაშებაში მოსინჯა, ახლა კი ინდივიდუალურად ვარჯიშობს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

### შოტლანდია

ასოციაციის თასი
მეთექვსმეტედფინალი
აბერდინი 2:2 ჰიბერნიანი

### იტალია

თასის მეოთხედფინალი
პირველი მატჩები
სამპდორია 1:0 კიევო
რომა 2:1 პარმა

სერია C1/B
გადადებული მატჩი
სალერნიტანა 0:0 კავეზე

### ინგლისი

ლიგის თასი
ნახევარფინალი
პირველი მატჩი
უიკომბი 1:1 ჩელსი

LDV VANS TROPHY
1/4 ფინალი
ჩესტერფილდი 2:4 ძრიუ

### ესპანეთი

თასის მერვედფინალი
პირველი მატჩები
მალაგა 0:3 სარაგოსა
მალიორკა 1:2 დეპორტივო
რაიო ვალეკანო 0:0 სევილია
ვალიადოლიდი 2:1 ვილიარეალი
ალავესი 0:2 ბარსელონა
ხეტაფე 1:1 ვალენსია

### საბერძნეთი

თასის მერვედფინალი
საპასუხო მატჩები
იანინა 2:0 ირაკლისი
კალამარია 1:დ.დ. (პ2:3) პანათინაიკოსი

### EFES PILSEN CUP

მატჩი III ადგილისთვის
ბეშიქთაში 1:დ.დ. (პ7:6) გალათასარაი

### DUBAI CUP

ბაიერნი 4:3 მარსელი
ლაციო 0:0დ.დ. (პ4:5) ბენფიკა

### ამხანაგური მატჩები

ირანი 1:0 შტუტგარტი
საამიროები 0:1 ჰამბურგი

## 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

# მხსნელი და მოღალატე

## სმიტმა შოტლანდია გლაზგოში გაცვალა



**ევროშესარჩევი** ციკლის მომდევნო, საკმაოდ მნიშვნელოვანი და ბევრი რამის გამრკვევი მატჩი საქართველოს ნაკრებს 24 მარტს გლაზგოში აქვს. შეიძლება თქვათ, იქამდე კიდევ დიდი დროაო, მაგრამ... შოტლანდიის ნაკრებში დიდი არეულობაა — სამიოდ დღის წინ გამცნეთ, რომ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა უოლტერ სმიტმა ფეხბურთის ასოციაციას გადადგომის თაობაზე განცხადებით მიმართა, თუმცა მისი სურვილი არ დააკმაყოფილეს.

და აი, ახალი ამბავი: სააგენტო „როიტერის“ ცნობით, გუშინ სმიტი ოფიციალურად დაინიშნა „გლაზგო რეინჯერსის“ მწვრთნელად.

სმიტს შოტლანდიის ნაკრები 2004 წელს ჩააბარეს და გუნდი ღრმა კრიზისიდან გამოიყვანა. იქამდე ლამის ყველა გუნდის იოლ ლუკმად ქცეულმა სკოტებმა თვალებში გამოიხედეს და ევრო 2008-ის შესარჩევ ჯგუფსაც ცხრა ქულით საფრანგეთთან ერთად ლიდერობენ. ამ ყველაფრის თავ სმიტს კი ქომაგებმა მხსნელი უწოდეს.

ახლა კი მისტერ უოლტერს ახალი საქმე აქვს — „რეინჯერსს“ უნდა უშველოს, მაგრამ...

„სმიტი კონტრაქტის დარღვევისთვის პასუხს აგებს“ — ნათქვამია შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის ოფიციალურ განცხადებაში.

ვნახოთ, რა როგორ იქნება, იქამდე კი გეტყვით, რომ აწ უკვე უსმიტო შოტლანდიას საქართველოსთან მატჩში დისკვალიფიკაციების გამო ოთხი ფეხბურთელიც დააკლდება.

**კახა შალამბერიძე**

# ლომთა ლომი

## მათე ღვინიანიძეს მიუნხენში აჩერებენ



მათე ღვინიანიძე და მისი „მიუნხენი“ მეორე ბუნდესლიგის მეორე წრისთვის ესპანურ ტენერიფეში ემზადებიან. ჩვენიანი მცველი, რომელიც ოქტომბერში იტალიასთან სანაკრებო მატჩის წინ დაშავდა და შემდეგ კლუბის ხუთი შეხვედრა გამოტოვა, უკვე ყოველგვარი სახვევებისა და ტკივილგამაყუჩებლების გარეშე, სრული დატვირთვით ვარჯიშობს. არადა, მას პირველი წრის ბოლომდე არც უნდა ეთამაშა, წინასწარი დიაგნოზით, მკურნალობას მეტი დრო სჭირდებოდა და მწვრთნელების თხოვნით, მაინც გავიდა მოედანზე. კოჭშეხვეულმაც კი სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა,

ხოლო პირველი წრის ბოლოს „ლომებმა“ თავის ქომაგთა შორის კლუბის ყველაზე სიმპათიური ფეხბურთელის გამოკითხვა ჩაატარეს. ღვინიანიძემ იმარჯვა, რაც, ცოტა არ იყოს, გასაკვირიც გამოდგა — 19 წლის ფეხბურთელმა ხომ ამ სახელოვანი კლუბის მაისურა ამ სეზონის დასაწყისში მოირგო და იმიტომ...

— ძალიან მესიამოვნა და გამიხარდა, ქომაგებმა კლუბის ყველაზე სიმპათიურ ფეხბურთელად რომ დამასახელეს — გვითხრა მათე ღვინიანიძემ — ამ გამოკითხვით თაობაზე არაფერი ვიცოდი და ბუნებრივია, არც ველოდი, თუ გავიმარჯვებდი. ვგრძნობ, რომ კლუბიც და ქომაგებიც ჩემ მიმართ კეთილგანწყობილები არიან და, რა თქმა უნდა, ეს ძალიან მახარებს.

**— ტრავმის შემდეგ თავს როგორ გრძნობ?**

— ყველაფერი კარგადაა, მთელი დატვირთვით ვვარჯიშობ. ორიოდ დღის წინ „მიუნხენში“, როგორც ყველგან, საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმება იყო, კლუბის ექიმები კი ჩემი ტრავმით ცალკეც დაინტერესდნენ, დაშავებულ კოჭზე ორი რენტგენიც გადამიღეს. მოკლედ, არაფერი მაწუხებს და დატვირთვებსაც აღარ ვერიდები.

**— დიდი დატვირთვები გაქვთ?**

— ახლა არც ისე. შვებულებიდან როცა დავბრუნდით, ორი დღე იმდენი ვირბინეთ, ზოგისთვის ასეთი დატვირთვა წარმოუდგენელიც იყო. ტენერიფეში კი დატვირთვამ იკლო — აქცენტი, უფრო ტაქტიკაზეა, თუმცა, ცხადია, აქაც ბევრს დავრბივართ.

**— ბუნდესლიგაში გადასასვლელად ემზადებით?**

— რა თქმა უნდა, „მიუნხენი“ ისეთი ტრადიციების კლუბია, სხვა მიზანი არც შეიძლება, ჰქონდეს. ლიდერებს ბევრით არ ჩამოვრჩებით. ჩვენი და მეორე ბუნდესლიგის ყველა გუნდის ნაღდი ძალა სწორედ მეორე წრიდან გამოჩნდება. „მიუნხენს“ კი სპეციალისტები ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად თვლიან და ალბათ ასეც არის. ვნახოთ, ტენერიფეში მწვრთნელი რამდენიმე ახალ ტაქტიკურ ვარიანტზე გვავარჯიშებს და, ვფიქრობ, ეს ყველაფერი მეორე წრეში ჩვენთვის კარგი შედეგით დასრულდება.

**— მეორე ბუნდესლიგაში ერთი წრე ითამაშე. შენთვის ეს პერიოდი წარმატებული იყო?**

— რატომაც არა... სხვათა შორის, სტატისტიკას თუ გავითვალისწინებთ, როცა ძირითად შემადგენლობაში ვიყავი, „მიუნხენმა“ სულ ერთი თამაში წააგო. ხოლო რაც ტრავმის გამო მატჩები გამოვტოვე, თითქმის ყველა წააგო. ეს ალბათ დამთხვევაა, მაგრამ მაინც სასიამოვნოა ჩემთან ერთად „მიუნხენმა“ წარმატებული მატჩები რომ ითამაშა. თავს ვატყობ, რომ ამ რამდენიმე თვეში, რაც „მიუნხენში“ ვარ, თამაშს აშკარად მოვუმატე. აქაურობის კმაყოფილი ვარ და სამომავლოდ კიდევ მეტს ვეცდები.

**— გუნდის ყველაზე სიმპათიურ ფეხბურთელს, ალბათ, ქომგებისგან მოსვენება არ გაქვს...**

— უკვე პოპულარობასაც ვგრძნობ. მთელს ქალაქში მცნობენ და ქუჩაშიც მაჩერებენ ავტოგრაფების დასარიგებლად. მიუნხენი დიდი ქალაქია და, ცხადია, ძალიან მსიამოვნებს, რომ ამ ქალაქში ხალხი ასე მაფასებს.

**კობა ინასარიძე**

# მეგრელაძე მოსკოვში ღვიძლმა არ გაუშვა

**20 იანვრიდან** მოსკოვში გასამართ „თანამეგობრობის თასზე“ აზერბაიჯანის ჩემპიონი „ბაკიც“ ითამაშებს, სადაც სამი ჩვენებური ირიცხება: ალექსანდრე გოგობერიშვილი, ამირან მუჯირი და გია მეგრელაძე, რომელიც ახლა გუნდთან ერთად არ არის და ვერც მოსკოვში გაემგზავრება.

მეგრელაძე შარშან შეიძინა „ბაკიმ“ თბილისის „დინამოდან“, თუმც ქართველ ფორვარდს აზერბაიჯანში არ გაუმართლა — ხან ტრავმებმა შეაწუხა, ხან იღბალმა უმტყუნა და აზერბაიჯანის ჩემპიონატის პირველ წრეში გოლის გატანა ვერ მოახერხა.

ახლა კი მეგრელაძეს კვლავ შემოსწყრა ბედი — გიას A ჰეპატიტი შეეყარა და თბილისში მკურნალობს.

**დავით თავართქილაძე**

# გილანი და სამი ქართველი

**აზერბაიჯანის** ჩემპიონატში მოთამაშე გაბალინის „გილანი“ უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის — ცამეტგუნდა ლიგაში მეთერთმეტე ადგილზეა.

კლუბმაც რამდენიმე ფეხბურთელის დამატება გადაწყვიტა და, აზერბაიჯანული ვებგვერდის ცნობით, სამ ქართველს — ლევან კორღალიძეს, გრიგოლ იმედაძეს და დიმიტრი კაპანაძეს — გაისინჯავს.

შეგახსენებთ, რომ კორღალიძე რიგის „სკონტოდან“ წამოვიდა და ახლა უგუნდოდაა, ისევე, როგორც იმედაძე, ვინც „ზესტაფონში“ თამაშობდა. რაც შეეხება მცველ კაპანაძეს — აზერბაიჯანულ „გეიაზანში“ ირიცხებოდა.

აზერბაიჯანელი ჟურნალისტების ცნობით, ქართველები გუნდს ანთალიურ შეკრებაზე შეუერთდებიან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ფანობა და ახალი თაობა

## ტიფოზებმა კალაძე ბარეზის და მალდინის გაუტოლეს

**იტალიური** „მილანი“ ახლა მალტაზეა, სადაც ორკვირიან შეკრებას გადის. ბუნებრივია, გუნდს თან ახლავს საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე, ვინც მიკროტრავმას იმუშებს და ჯერაც კლუბის ფიზიოთერაპევტის ხელშია...




გუშინწინ „მილანმა“ ამხანაგური მატჩი გამართა, მალტის ჩემპიონ „ბირკირკარას“ 5:0 მოუგო, მაგრამ კალაძეს არ უთამაშია, თუმც ჩვენი წერილის თემა სულ სხვაა — ვინ არის კალაძე „მილანისთვის“ და რამდენს ნიშნავს კლუბისთვის? გუშინ ერთ-ერთ იტალიურ ვებ-გვერდზე სწორედ ეს წავიკითხეთ...

„ეს სეზონი „მილანისთვის“, ფაქტობრივად, ჩაგდებულია და, როგორ, რანაირად წარმოგიდგენიათ გუნდი მომავალში?“ — აი, კითხვა, რომელიც „როსონერის“ ქომაგებს დაუსვეს. გამოკითხავში უამრავმა გულშემატკივარმა მიიღო მონაწილეობა, ვინ როგორ თერთმეტეულს ასახელებდა და ვინ რომელ ფეხბურთელს ითხოვდა სილვიო ბერლუსკონისგან „მილანისთვის“, მაგრამ არავის შეჰპარვია ეჭვი იმაში, რომ სამომავლოდ გუნდის დაცვის ცენტრს ნესტა-კალაძის დუეტი უნდა ამაგრებდეს.

„სანდრო და კალა! „მილანისთვის“ ესენი იდეალურნი არიან. არ მეგულება ტიფოზი, ვისაც ამ წყვილზე აუგი დასცდეს. ფრანკო ბარეზი და პაოლო მალდინი ლეგენდები არიან, მათ ჩვენი გუნდის ისტორიაში წაუშლელი კვალი დატოვეს, მაგრამ ახლა ჩვენ ნესტა-კალაძეს ვეთაყვანებით, ამ ორის გარეშე „მილანი“, უბრალოდ, წარმოუდგენელია“ — ამბობს ვინმე ალესიო ანასტაზი.

„ვის ვისურვებდი ჩემს გუნდში? გეტყვით: უპირველესად ჯიჯი ბუფონს, იგი ხომ ძალიან მაგარი მეკარეა, მაგრამ უფრო მშვიდად მაშინ იქნება, როცა მის წინ ნესტა და კალა იქნებიან“ — დასძენს ფერდინანდო პერტიკონე.

ცხადია, ამ ორი ტიფოზის ვინაობა მკითხველისთვის არაფერს ნიშნავს და „მილანს“ მათ გარდა კიდევ უამრავი ფანი ჰყავს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს ორი კაცი „მილანის“ ტიფოზთა ყოჩები არიან, „სან სიროს“ CURVA SUD-ს ანუ სამხრეთ ტრიბუნას — სადაც „შავწითლების“ ყველაზე აქტიური ფანები სხდებიან — მართავენ.

ისე როგორ იქნებოდა, კლუბის ოფიციალური პირის კომენტარი არ ყოფილიყო, ჰოდა, მოვუსმინოთ თვით სილვიო ბერლუსკონის, „მილანის“ მეპატრონეს...

„ამჟამად მხოლოდ მასიმო ოდოს ტრანსფერზე ვმუშაობთ, ახლა „მილანს“ განაპირა მცველები სჭირდება“.

რაღა დავამატოთ, აგერ „როსონერის“ მილიონობით ტიფოზთა სასურველი გუნდი და თავად განსაჯეთ: ბუფონი — ოდო, ნესტა, კალაძე, ძამბროტა — გატუზო, პირლო, რიბერი — კაკა — ჯილარდინო, ეტოო.

**გიორგი ვაშაკიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სომხეთმა აფრიკა თურქეთში გაუშვა

**რამდენიმე** დღის წინ გაუწყეთ, რომ მოსკოვში გასამართ „თანამეგობრობის თასზე“ ბოლნისის „სიონი“ ერევნის გავლით მიემგზავრება და სომხებმა ბოლნისელებს ფორმალურ-ბიუროკრატიული პრობლემა შეუქმნეს — „სიონის“ კამერუნელ ლეგიონერებზე მოსკოვიდან საგანგებო მოწვევა გამოაგზავნინეთ, თორემ მათი სომხეთიდან რუსეთში გამგზავრება ვერ მოხერხდებაო.

„სიონი“ ამაოდ ეცადა სომხებთან მოლაპარაკებას და სხვა გამოსავალს მიაგნო — ბიიომო ფრიდოლინი, ერიკ რომეო ჩასემი და გასტონ ევოჩე თბილისიდან სტამბოლში ჩავლენ და იქიდან გადაფრინდებიან მოსკოვში.

**დავით თავართქილაძე**

# მუმუ კობისთან ვარჯიშობს



**სამარის** „კრილია სოვეტოვი“ უკვე შეიკრიბა და ახალ მწვრთნელ სერგეი ობორინის მეთვალყურეობით ვარჯიშობს, თუმც ქართველი ფეხბურთელის დავით მუჯირის გარეშე.

მოგეხსენებათ, მუჯირს ტრავმის გამო სეზონის ბოლო გაუცდა და გერმანიაში მკურნალობდა. მუმუ ახლაც გერმანიაშია, ოღონდ უკვე გამოჯანმრთელებული — ის ლევან კობიაშვილს სტუმრობს და ინდივიდუალურად ვარჯიშობს, როგორც მუჯირის ოჯახში გვითხრეს, უკვე ბურთთან ერთადაც და „კრილია სოვეტოვს“ ანთალიაში სრულ მზადყოფნაში შეუერთდება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ზესტაფონი უცხოეთს უცხოეთში დახვდება

**თემურ მახარაძის** „ზესტაფონი“ 3 იანვრიდან ბაკურიანულ შეკრებაზეა, ამ დღეებში კი ურეკში გადაინაცვლებს. 20-25 იანვარს ფეროელები ანთალიაში მიდიან შეკრებაზე, სადაც რამდენიმე ტესტ-მატჩს ჩაატარებენ, ერთ-ერთ მეტოქედ კი უკრაინული „დნიპრო“ ეყოლებათ.

და, რა სიახლეა „ზესტაფონის“ იმ ფეხბურთელებთან, რომლებსაც პირველი წრის მერე დაუსრულდათ კონტრაქტები? ზურაბ იონანიძის გარდა, იმერულ კლუბთან კახა ჩხეტიანმა, შალვა ღონღაძემ და ახალწვეულმა როინ ონიანმა გააფორმეს ხელშეკრულება.

როგორც შევიტყვეთ, ამ დღეებში კლუბი სევასტი თოდუასთან და გრიგოლ ჭანტურიასთანაც საბოლოოდ შეთანხმდება.

კიდევ ის, რომ „ზესტაფონმა“ 16 წლის ცოტნე ბუკია აიყვანა — მას საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში უთამაშია.

რაც შეეხება ლეგიონერთა საკითხს: ორი კამერუნელი ახალგაზრდისა და გაბონის ნაკრების ნახევარმცველის „ზესტაფონში“ ჩამოსვლაზე ლაპარაკი ერთი თვის წინ დაიწყო, თუმცა, როგორც კლუბის პრესსამსახურის უფროსმა სერგო ფუტკარაძემ გვითხრა, ისინი ანთალიურ შეკრებაზე შეუერთდებიან გუნდს. შესაძლოა, ანთალიაში სხვა ლეგიონერებიც გამოჩნდნენ, საუბარია ნიგერიელსა და ბრაზილიელზე.

**ილია ნანობაშვილი**



ოთარ ხიზანეიშვილი გოლით გამოირჩა

# ხიზანეიშვილმა ოციანი ისროლა

## იაშვილს პასი დაუკარგეს

**გერმანიის** მეორე ბუნდესლიგაში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელების გუნდები შეკრებებს პირინეის ნახევარკუნძულზე გადიან. ერცებერგეს აუე-ს პირველ საკონტროლო შეხვედრაზე და დავით სირაძის „ზვოლეს“ კარში გატანილ გოლზე გუშინდელ „სარბიელში“ გამცნეთ. დღეს კი ის ვთქვათ, რომ ესპანეთშივე ჩაატარა თავისი პირველი ტესტ-მატჩი მათე ღვინიანიძის „მიუნხენ 1860“-მა — მიუნხენელებმა „ტენერიფესთან“ 0:1 დამარცხდნენ.

ღვინიანიძემ სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა და საკმაოდ კარგად გაისარჯა. მათე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვალტერ შახნერმა მე-60 წუთზე შეცვალა და მიუნხენელებმაც გოლი ამის შემდეგ გაუშვეს — 73-ე წუთზე თავი მარერომ გამოიჩინა.

პორტუგალიაშია ალექსანდრე იაშვილისა და ოთარ ხიზანეიშვილის „ფრაიბურგი“, რომელიც ამხანაგურად ბუნდესლიგელ ფრანკფურტის „აინტრახტს“ გაეჯიბრა. „ფრაიბურგი“ ორჯერ იგებდა, მაგრამ ფრანკფურტელებმა იძალეს და შეხვედრის ბოლოს ანგარიში გაათანაბრეს.

იაშვილმა შეხვედრა ძირითად შემადგენლობაში დაიწყო. 22-ე წუთზე შესანიშნავი პასით მატმური მეკარეს პირისპირ შეატოვა, მაგრამ... ამ დროისთვის „ფრაიბურგი“ 1:0-ს იგებდა. სხვა დასამახსოვრებელი იაშვილს არაფერი გაუკეთებია და ფინკემ მე-60 წუთზე შეცვალა, როდესაც ანგარიში 1:1 იყო.

მე-60 წუთზევე ჩაერთო თამაშში ოთარ ხიზანეიშვილი, რომელმაც დარჩენილ დროში „ფრაიბურგის“ დაწინაურება მოახერხა. „აინტრახტის“ კარიდან 20 მეტრში დანიშნული საჯარიმოდან ოთარმა აუღებელი დაურტყა მეკარეს, თუმც, როგორც უკვე გითხარით, ქართველთა გუნდმა უპირატესობა ვეღარ შეინარჩუნა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ახალი წელი და ახალი სარბიელი



**მეორე** წრეს თბილისის „მერანი“ ახალი სტადიონით შეხვდება.

„მერანის“ საფეხბურთო სკოლის ახალაშენებულ მოედანზე „ეროვნულიდან“ აღებული ბალახი დაიგო, იქიდან წამოღებული 3000 ინდივიდუალური სკამიც დამონტაჟდა და, როგორც სტადიონის მომსახურე პერსონალმა გვითხრა, თითქმის ყველაფერი დასრულებულია, მხოლოდ კოსმეტიკური სამუშაოებიღა დარჩა...

მზადაა საშხაპეები, მსაჯთა ოთახი, პრესლოჟა, ამჟამად მომდინარეობს სტადიონის რადიოფიცირება. სამწუხაროდ, ამ ეტაპისთვის ვერ ესწრება ტაბლოს დამონტაჟება, თუმც სტადიონზე მისულებს გვითხრეს, რომ „მერანის“ ხელმძღვანელობის გეგმაში ესეც შედის.

მოკლედ, „მერანის“ სტადიონზე ორი-სამი კვირის სამუშაოებია დარჩენილი და მეორე წრის დაწყებამდე ყველაფერი მოესწრება. უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ კლუბის ხელმძღვანელობამ საქართველოს კიდევ ერთი პატარა და კოხტა სტადიონი შემატა.



**მიხეილ ჟორჟოლიანი**

**ბადრი ქეთილაძის ფოტორეპორტაჟი**





# სენსაციური გულწრფელობა

## ბრიგელმა ალჟირი ჯანდაბაში გაუშვა

**1982 წელს** გერმანიისა და ავსტრიის მიერ ალჟირის გაწირვა ოფიციალურად დადასტურდა. 25 წელია, ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ტომით ალემან გუნდთა ვერაგობის შესახებ საუბრობენ და აჰა, ჰანს პეტერ ბრიგელმა ყველაფერი აღიარა. ოთხმოციანი წლების გფრ-ის მძლეთამძლე მცველმა არაბულ გაზეთ „ელ ილტიჰადთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ მუნდიალზე გერმანელები ავსტრიელებს შეუთანხმდნენ, ჯგუფური ეტაპის მატჩი გფრის მოგებით შეხმატკბილებულად ჩაამთავრეს და იმ წელს ფანტასტიკურად მობურთავე ალჟირი ჯანდაბას იქით გაგზავნეს. თუმც ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ.

ესპანეთი, 1982 წელი. გერმანია და ავსტრია მეორე ჯგუფში არიან ალჟირთან და ჩილესთან ერთად. პირველ ტურში ალჟირმა გფრ-ს სენსაციურად 2:1 მოუგო, ხოლო ავსტრიელებმა ჩილე 1:0 დაჯაბნეს. მეორე ტურში გერმანელებმა ჩილესთან 4:1 გაიმარჯვეს მაშინ, როცა ავსტრიამ ალჟირს 2:0 მიართვა. სიტუაციიდან გამომდინარე, თუ მესამე ტურში ბრიგელი და მისი ამხანაგები ავსტრიელებს 1:0-ს მოუგებდნენ, შემდგომ ეტაპზე სწორედ ეს ორი გუნდი გავიდოდა (რაც მოხდა კიდეც). პირველად ალჟირმა და ჩილემ ითამაშეს, ერთმანეთს თავ-პირი დაამტვრიეს და ჩრდილოაფრიკულმა ნაკრებმა 3:2 იმარჯვა. ჯერი ახლა გერმანია-ავსტრიაზეა. მაშინ მსოფლიოს პრესა მატჩამდე აცხადებდა, მეზობლები პრესტიჟის გამო დაუნდობლად იომებენო, თუმცა...

ხიხონის „ელ მოლინონზე“ თამაშის მეათე წუთზე ჰორსტ ხრუბეშმა მატჩის ერთადერთი გოლი შეაგდო. „ზუსტად ამ დროს ჩვენმა მეკარემ, შუმახერმა, თავზე თეთრი კეპი დაიხურა, რაც იმას ნიშნავდა, რომ შეტევები ორივე გუნდს უნდა შეგვეწყვიტა. ეს წინასწარ დათქმული პაროლი იყო. რატომ უნდა მოგვეკლა თავი, როცა ამ ანგარიშის წყალობით გათამაშების შემდეგ ეტაპზე ორივე გავიდოდით?“ — იკითხა ბრიგელმა არაბ ჟურნალისტებთან საუბარში.

ახოვანი ბრიგელი დღეს ბაჰრეინის ნაკრებს წვრთნის, ხოლო ფიფამ ხსენებული ძმური თამაშის შემდეგ შესაფერის ზომებს მიმართა. სწორედ 1982 წლის მუნდიალის შემდეგაა, ჯგუფური ეტაპის ბოლო თამაშები ერთდროულად, ერთსა და იმავე დროს რომ იწყება — წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინ იცის, ტომით მონათესავე გუნდები რა ფანდს მიმართავენ...

ბრიგელის განცხადებით, შეშფოთებული გერმანული გაზეთები ვარაუდობენ, რომ, მიუხედავად ოცდახუთწლიანი ინტერვალისა, მსოფლიოს ფეხბურთის ფედერაცია ალემანებს სანქციებით მაინც დასჯის. პრინციპში, ალჟირის ძმურად გაწირვის ამბავი მაინც ყველამ იცოდა, დიდი და პატარა მიხვდა მაშინ, გერმანელებმა და ავსტრიელებმა „შავებს“ რაც გაუჩალიჩეს. ოღონდ საქმეს ოფიციალური აღიარება აკლდა, რაც ბრიგელმა იკისრა.

აწ უკვე შორეულ 82-ში გფრ-ისა და ავსტრიის ფანებმა თავიანთი ქვეყნის დროშები დაწვეს — ალჟირი ალჟირად და ამაყი ფანები თავისიანთა აფერისტობით გაძრომამ ერთობ ალაშფოთა. „ბარემ ტუჩებში აკოცეთ ერთმანეთს“ — ღრიალებდნენ „ელ მოლინოზე“ შეკრებილი გულშემატკივრები...

**ლადო ხომერიკი**

# რაში მჭირდება შენი ბოდიში?

## რაბაჰ მაჯერს ავსტრია და გერმანია სასაცილოდ არ ეყო

**ბრიგელის სკანდალური განცხადების შემდეგ მადრიდული „ასის“ ჟურნალისტებმა გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ალჟირის ნაკრების ვარსკვლავ რაბაჰ მაჯერს მიაკითხეს. ისტორია მეორდება, გერმანელი ბრიგელი ადრინდელივით ალჟირელ მაჯერს გულს სტკენს, ხოლო საქმეს ნათელს ისევ „მასპინძელი“ ესპანელი ჟურნალისტი ჰფენს... მოკლედ, სახელგანთქმული ჩრდილოაფრიკელი „ასთან“ ჩაწყობილი თამაშის შესახებ საუბრობს**



**. — ჰანს პეტერ ბრიგელმა აღიარა, რომ 1982 წელს ალჟირი ჯგუფიდან გერმანია-ავსტრიის „პაქტის“ გამო ვერ გავიდა...**

— მხოლოდ ის შემიძლია გიპასუხოთ, რომ ხიხონის გარიგების შესახებ ყველამ ყველაფერი იცოდა, ბრიგელმა კი ეს ამბავი ოფიციალურად დაადასტურა. იმ დღეს სტადიონზე ვიყავი და მაგ სამარცხვინო გარიგების მომსწრე ვარ.

**— ბრიგელმა ყველაფერი თქვა, თუმცა ამისგან დღეს რას უნდა ველოდოთ?**

— გვარიანად გამაცინეთ. რას უნდა ველოდოთ? ფიფა ხომ 25 წლის წინანდელ მატჩს განმეორებით აღარ ჩაატარებს. არადა, იმ მუნდიალზე საკმაოდ შორს წასვლა შეგვეძლო.

**— ნუთუ ოფიციოზის მხრიდან არავითარ რეაქციას არ ელოდებით?**

— კარგით ერთი... პატარა გამოძიებასავით მოაწყობენ და მორჩა — ალჟირი ხომ მსოფლიო ფეხბურთის ელიტაში დიდი გავლენით ვერ დაიკვეხნის.

**— არ მინდა, რომ ძველი ჭრილობები შეგახსენოთ, თუმცა რაბაჰ მაჯერი ერთ-ერთი იმათგანია, 1982-ში გერმანულ-ავსტრიული გარიგების ამბავს საშინლად რომ განიცდიდა...**

— ცხადია, განვიცდიდი, რადგანაც მუნდიალის შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსი მოგვპარეს. „ელ მოლინონზე“ გერმანელთა და ავსტრიელთა მაგივრად მე მრცხვენოდა, მაშინ ამ გუნდებმა ულირსი საქციელით ჭრილობა არა მარტო ალჟირს, არამედ მსოფლიო ფეხბურთსაც მიაყენეს. ხალხიც ჩვენს მხარეს იყო, თუმცა ჯგუფიდან „მოლინონის“ გარიგების მონაწილენი გავიდნენ.

**— ეს ყველაფერი მართლაც ასე მოხდა, თუმცა ფიფამ ამ მატჩის შემდეგ ჯგუფური ეტაპის მესამე ტურის თამაშების ერთდროულად გამართვის წესი შემოიღო...**

— მერე უსამართლოდ დაჩაგრულ ალჟირს ამ ამბავმა რაში უშველა?! მატჩის წინ რაღაც ეჭვები კი გვაწუხებდა, მაგრამ ასე უსირცხვილოდ თუ გაგვწირავდნენ, ნამდვილად არ გვეგონა.

**— ევროპელთა დანაშაულის აღიარება ძალიან გაჯანჯლდა?**

— რა თქმა უნდა. მეოთხედი საუკუნე გავიდა და გარიგება მარტო ერთმა ფეხბურთელმა აღიარა. მე კი უფრო ავსტრიელებს ვადანაშაულებ, იმ გუნდში შახნერის, კრანკლის და პეცეისნაირი ოსტატები თამაშობდნენ და გემრიელად კი დაუწვნენ გერმანიას...

**— ესპანური მუნდიალის შემდეგ რომელიმე ავსტრიელ ფეხბურთელს შეხვდით?**

— კი, ვხვდებოდი რამდენიმეს, განსაკუთრებით კი ჰანს კრანკლს, რომელიც ყოველი შეხვედრისას ბოდიშებს მიხდიდა, ოღონდ პირდაპირ არ მეუბნებოდა, ამბობდა, გფრ-ს დავუთმეთ, ხიხონში ავსტრიას თამაში არ წაუვიდაო...



# ეტოოს ორშაბათი

**სამუელ ეტოო** „ბარსელონას“ ვარჯიშებში მონაწილეობას ორშაბათიდან შეძლებს. ფეხბურთელთან დაახლოებულმა პირებმა განაცხადეს, რომ გასული წლის სექტემბერში „ვერდერთან“ ტრავმირებული აფრიკელი უკვე საკმარისად მომჯობინდა, თანაგუნდელებთან ერთად ვარჯიში და ბურთის დევნა რომ შეძლოს.

ალემანებთან მუხლნატკენ ეტოოს 28 სექტემბერს ოპერაცია „ბარსას“ ქირურგმა, რამონ კუგატმა გაუკეთა. მაშინ ამბობდნენ, კამერუნელი ბურთს და მოედანს ხუთი თვის განმავლობაში ვერ დაუბრუნდებაო, თუმცა გამოჯანსალების პროცესი სწრაფად წარიმართა.

ესპანური პრიმერას მეგოლე, როგორც მოგახსენეთ, გუნდთან ერთად ტრავმის შემდგომ პირველ ვარჯიშს ორშაბათს ჩატარებს, თუმცა ბარსელონური გაზეთები არ იუწყებიან, ეტოო ოფიციალურ მატჩში თამაშს როდის შეძლებს. ერთი რამ კი ნათელია, კამერუნელმა ექიმთაგან ბურთთან ცეკვის უფლება უკვე მიიღო, რაც სრულიად ბარსელონურ ინჩადას წესით, ძალიან უნდა გაუხარდეს.

„მარკა“ კი გვაუწყებს, რომ უახლოეს დღეებში სამუელ ეტოო საგანგებო პრესკონფერენციას გამართავს, სადაც ხალხს თავისი დაბრუნების შესახებ უფრო დეტალურად გაესაუბრება. იქამდე მედიის წარმომადგენლებმა ეტოოს მწვრთნელ ფრანკ რაიკარდს მიაკითხეს და აი, რა გაიგეს მისგან: „სამუელი დაძაბულად შრომობს და საფეხბურთო მინდორზე დაბრუნების დიდი სურვილი აქვს. ამ კვირაში ვერ ივარჯიშებს, თუმცა უახლოეს დღეებში აუცილებლად გამოვა.“

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მაურინიუმ გასაღები დაკარგა



**მიუნხენის** „ბაიერნის" გენერალურმა მენეჯერმა ული ჰიონესმა „ჩელსის" მწვრთნელ ჟოზე მაურინიუს უვიცი უწოდა, მიხაელ ბალაკს და ანდრეი შევჩენკოს პოზიცია სწორად ვერ შეურჩიაო. ფაქტია, რომ ვერც გერმანელმა და ვერც უკრაინელმა ლონდონურ კლუბში იმის მეათედიც კი ვერ გააკეთეს, რასაც „ბაიერნში" და „მილანში" აკეთებდნენ.

ული ჰიონესის აზრით, ამ ორი ფეხბურთელის წახდენის გამო პასუხისმგებლობა მაურინიუმ უნდა იკისროს.

„ვფიქრობ, რომ „ჩელსიმ" ეს ორი ფეხბურთელი მხოლოდ მათი ვარსკვლავობის გამო იყიდა და არავინ იცოდა, თუ სად და რომელ პოზიციაზე უნდა ეთამაშათ, ეს ჯერჯერობით კვლავაც ვერ გაარკვიეს. მაგალითად, მიხაელ ბალაკი „ბაიერნში" საუცხოო იყო, მაგრამ „ჩელსიში" ჩაიკარგა, რადგან მის პოზიციაზე ფრენკ ლამპარდი თამაშობს. ორივეს უყვარს შეტევა და წინ წასვლა, მაგრამ ერთ-ერთმა დაცვაზეც უნდა იზრუნოს. ჩემი აზრით, „ჩელსიში" დიდი გაუგებრობაა და მაურინიუმ გუნდს გასაღები ვერ მოარგო. შეხედეთ შევჩენკოს. „ჩელსის" ჰგონია, რომ იგი მთავარი ფორვარდი უნდა იყოს, მაგრამ სინამდვილეში დიდიე დროგბაა მთავარი. მაურინიუ ცდილობს, როგორმე შეაწყვილოს ისინი შეტევაში, თუმც არ გამოსდის" — განაცხადა ჰიონესმა.

„ბაიერნის" მენეჯერმა მიხაელ ბალაკის ადვოკატობა იკისრა და თქვა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატმა გამოფიტა გერმანიის ნაკრების ლიდერი და ამიტომ გაუჭირდა „ჩელსიში". ხოლო მაურინიუმ განაცხადა: „ბალაკი იმიტომ კი არაა ჩვენთან, რომ ფანებმა ან პრეზიდენტმა მთხოვეს, არამედ იმიტომ, რომ მე მსურდა. მიხაელი ჯერ არ ბრწყინავს, მაგრამ ის გუნდის სქემაში კარგად ჩაეწერა და ამიტომაც ეკუთვნის „ჩელსიში თამაში".

ინგლისური „სანი" კი ამტკიცებს, რომ რომან აბრამოვიჩი „ჩელსისთვის" ბიუჯეტის შემცირებას აპირებს და ახალი ფეხბურთელებისთვის ფულს აღარ გაფანტავს. რუსი მილიარდერი მაურინიუს თითო გირვანქაზე პასუხს მოსთხოვსო. „სანისვე" ცნობით, გასული წლის ბოლოს პორტუგალიელი რუსს შეხვდა, სადაც უთხრეს, თუ როგორ და რაში უნდა დაიხარჯოს ფული.

**ირაკლი ნინიძე**

# ორი სიკვდილი ოთხ დღეში

## ინგლისი

ლიგის თასი. 1/4 ფინალი

**ლივერპული 3:6 არსენალი**

0:1 ალიადირი (27), 1:1 ფაულერი (33), 1:2 ბაპტისტა (40), 1:3 სონ-ბილიონი (45), 1:4, 1:5 ბაპტისტა (45, 60), 2:5 ჯერარდი (68), 3:5 ჰიიპია (80), 3:6 ბაპტისტა (84)

ლივერპული: დუდეკი, პელტიერი, ჰიიპია, პალეტა, უორნოკი (ხაბი ალონსო 58), გუტრიე, ჯერარდი, ფ. აურელიო, მ. გონსალესი (ლუის გარსია 11; კარაგერი 75), ფაულერი, ბელამი

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

არსენალი: ალმუნია, ჰოიტი, ტურე, ჯურუ, ტრაორე (კონოლი 88), უოლკოტი (დიაბი 74), ფაბრეგასი, სონ-ბილიონი, დემილსონი, ჟ. ბაპტისტა, ალიადირი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: სონ-ბილიონი

მსაჯი: ატკინსონი

42 614 მაყურებელი

**ოთხ** დღეში მეორედ „არსენალმა" გაათახსირა „ლივერპული" და ამჯერად 6:3 მოუგო.

ბრაზილიელმა ჟულიო ბაპტისტამ ოთხი გოლი გაიტანა, მეთოფენი კი ლიგის თასის ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც ორმატჩიან ბრძოლაში მარად მეტოქეს, „ტოტენჰემს" შეებრძოლებიან.

რა თქმა უნდა, სალიგო თასის თამაშში შემადგენლობები საბრძოლო არ იყო. არსენ ვენგერმა წინა მატჩთან შედარებით საერთოდაც ცხრა ახალი მოთამაშე გამოიყვანა. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ „ლივერპულს" „ენფილდზე" ექვსი გოლი არ გაუშვია 1930 წლის შემდეგ.

„ახალბედებმა ძალიან კარგად ითამაშეს. კლუბის მომავალი საიმედო ხელშია" — თქვა ვენგერმა — „ექვს გოლს ცხადია, არ მოველოდი, მაგრამ კარგია. გამაოცა ბაპტისტას სიმტკიცემ და ლიდერის თვისებებმა".

ბრაზილიელი პირველი ფეხბურთელი გამოდგა 1996 წლის შემდეგ, „ენფილდზე" რომ ოთხი გოლის გატანა შეძლო. მაშინ ეს დენის უოლკოტმა მოახერხა. ბაპტისტას კი მეხუთეც შეეძლო — პენალტი გააფუჭა.



ჟულიო ბაპტისტამ ლივერპულში „გააფრინა"

სამი დღით ადრე „არსენალმა" იქავე, ასოციაციის თასის მესამე რაუნდში დაამარცხა „ლივერპული". ვენგერს გაუკვირდა: „ლივერპულელთა თამაშმა ამ ორ მატჩში გამაოცა, ეგებ მათზე საშობაო ტურებმა იმოქმედა".

რაფა ბენიტესს კი ისღა დარჩენოდა, რომ ბოდიში მოეხადა: „ფანებს მოვუბოდიშებ, რომ ისინი გვჯობდნენ. ამის ახსნა ძნელია. რაც დაარტყეს, გაგვიტანეს. ეს ამბავი, რაც შეიძლება მალე უნდა დავივიწყოთ".

**ირაკლი გამყრელიძე**

# ჟანგიანი ინტერი

**რობერტო მანჩინი** კოპა იტალიაზე „ინტერის" ემპოლიში გამარჯვებით კმაყოფილი დარჩა.



„მე დადებითი ნიშნები დავინახე" — განაცხადა მწვრთნელმა.

მატჩი, რომელზეც მოგახსენებთ, პირველი მეოთხედფინალური გახლდათ და ის „შავ-ლურჯებმა" 2:0 მოიგეს. გოლები ადრიანომ და ივან კორდობამ გაიტანეს, თუმცა ანგარიშის გახსნა მანჩინის შეგირდებმა 72-ე წუთამდე მაინც ვერ შეძლეს.

„ბაჰრეინში ნათამაშები ამხანაგური მატჩის შემდეგ ეს პირველი ოფიციალური შეხვედრა გახლდათ, და მართალი გითხრათ ველოდი, რომ ცოტა დაჟანგულები ვიქნებოდით — ბრძანა მანჩინიმ — ამასთან „ემპოლიმ" ითამაშა ჩნებულად. კიდევ კარგი, მეტოქემ მეორე ტაიმში დაუკლო და ამით ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა მოგვცა. მესიამოვნა ჩემმა ფეხბურთელებმა მტკიცე ხასიათი რომ გამოავლინეს. ეს ის ხასიათია, რომელიც მათ მთელი სეზონის განმავლობაში ემჩნევათ".

როგორც გაირკვა, მწვრთნელისთვის სიხარულის კიდევ ერთი მიზეზი ადრიანოს გოლი გახლდათ. მოგეხსენებათ, ადრიანოს საქმე კარგად ბოლო დროსღა წაუვიდა, თორემ მანამდე მთელი ცხრა თვის განმავლობაში გოლი ვერ გაეტანა და კლუბშიც დაძაბული ურთიერთობები ჰქონდა.

„დადებითი ის არის, რომ მან გოლების გატანა დაიწყო და, მოდი, იმედი ვიქონიოთ, რომ ასეც გააგრძელებს".

მწვრთნელის კმაყოფილებას კორდობას კმაყოფილებაც დაემატა.

„მიხარია გოლი რომ გავიტანე — თქვა მცველმა — თუმცა ჩემს გოლზე მეტად ის მახარებს, რომ მთელმა გუნდმა სწორი განწყობა გამოამჟღავნა. ის, რომ ჩვენ ყველამ კარგად ვითამაშეთ, ყველაფერზე მთავარია. ჩვენ ყველანი კარგ ფორმაში ვართ და ეს ძალას გვმატებს. ახლა მნიშვნელოვანია ყოველ თამაშში ასე გავაგრძელოთ".

**ბაკურნა ძედია**

# ფრანგს შვედური ბრჭყალები უკვირს



**მიშელ პლატინის** არ ესმის, რატომ ებღაუჭება 77 წლის ლენარტ იუჰანსონი უეფას პრეზიდენტის სავარძელს. შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტის არჩევნები 26 იანვარს დიუსელდორფში გაიმართება და პლატინი თავად გახლავთ შვედის ერთადერთი კონკურენტი.

თავიდან ისე ჩანდა, თითქოს იუჰანსონი აღარ იყრიდა კენჭს და 51 წლის ფრანგს ფრანც ბეკენბაუერთან მოუწევდა ბრძოლა, მაგრამ გერმანელმა კანდიდატობაზე უარი თქვა, ხოლო იუჰანსონმა უბრძოლველად სავარძლის დათმობა არ ინება. პლატინი: „შვედის განცხადებამ გამაოცა. ვერ გავიგე, რატომ არ სჯერა ჩემი. ერთი წლის წინ ამბობდა, რომ პოსტიდან წავიდოდა, შემდეგ ჩემთვის კონკურენტის მოძებნა უნდოდა და რაკი ვერ ნახა, კვლავ გადაწყვიტა კენჭი იყაროს. ცხადია, არჩევნების გამართვა დიუსელდორფში ბეკენბაუერის მხადრასაჭერად მოიფიქრეს, სადაც იგი ფაქტობრივად მასპინძელი იქნებოდა და უეჭველად გაიმარჯვებდა. არ მესმის, იოჰანსონმა რატომ შეცვალა გადაწყვეტილება და კვლავ ისურვა არჩევნებში მონაწილეობა. ეს მისი მხრიდან „გმირული" საქციელია, მაგრამ ისინი, ვინც მას ამ ნაბიჯისკენ უბიძგა, მთლად გმირები არ უნდა იყვნენ".

არჩევნებში მონაწილეობას უეფას წევრი 52 ქვეყნის ფედერაცია მიიღებს და თითოეულს ერთი ხმის უფლება ექნება.

# ულვაშა აზრი მეფურ ამბავზე

## ბიჭებო, თქვენ მადრიდში გავლით ხომ არ ხართ?







რონალდოს „ალ იტიჰადში“ ეპატიჟებიან

**მადრიდში კვლავ კრიზისია. როცა „რეალის“ პრეზიდენტმა კალდერონმა სამეფო გუნდში მწვრთნელად ფაბიო კაპელო მიიყვანა, ინჩასებს იმედი მიეცათ, ლეგენდარული იტალიელი გვიშველის და სამწლიანი უტიტულო გვალვიდან პირდაპირ ოქროს მედლების წვიმაში მოგვახვედრებსო. არაფერი ამგვარი ჯერ სანტიაგო ბერნაბეუზე არ ხდება, გუნდმა 2006 წლის ბოლო შეხვედრა „უელვასთან“ სახლში სამარცხვინოდ წააგო (0:3) და 2007-საც მარცხით შეხვდა — კასტილიური გრანდი „რიასიორზე“ „დეპორტივომ“ დაჯაბნა (2:0). „რეალის“ თავკაცობა შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს ეძებს, კაპელოს კი „ბერნაბეუდან“ თითქმის მთელი შემადგენლობის დათხოვნა უნდა — გუნდის გაჭირვებაში დამნაშავეები სწორედ უდისციპლინო და თავგასული მოთამაშეები არიან, მუყაითი შეგირდები რომ მყავდეს, საქმეს საათივით ავაწყობდიო...**

სამეფო კლუბის ძველი მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე იტალიელს არ ეთანხმება და აცხადებს, რომ „რეალი“ კრიზისიდან მარტო ახალი ტრანსფერების განხორციელებით ვერ გამოძვრება. „იცით, რას ვფიქრობ? იმას, რომ „რეალს“ ფეხბურთელების ყოველდღიურად ცვლა ნანატრ გამარჯვებებს მაინც ვერ მოუტანს. აქ უფრო სერიოზულადაა საქმე და გუნდის უფროსებმა მუდმივ სატრანსფერო ავანტიურებზე მეტად ყურადღება სწორედ ამას უნდა მიაქციონ“ — უთხრა სენიორ გულკეთილმა ულვაშამ „მარკას“ კორესპონდენტს.

რას გულისხმობს დელ ბოსკე, როცა კასტილიელებს საქმის სერიოზულობაზე მიუთითებს? ვისენტე იდალგოა, კეთილშობილი კაცი და თავის ყოფილ კლუბს შორიდან არ დაუწყებს ყვედრებას — აქაოდა, მე რომ მომხსენით „რეალის“ საქმე შავად წავიდაო. უბრალოდ, თავაზიანად მიანიშნებს, რომ კრიზისი ღრმაზე ღრმაა და „ბერნაბეუზე“ ატეხილი ხანძარი მარტო ახალი ფეხბურთელების მოყვანით არ ჩაცხრება. ასეთია დონ ვისენტე დელ ბოსკე...

„მარკასთან“ ულვაშამ გუნდში ჭეშმარიტი ლიდერის არსებობასა და ფეხბურთელთა შორის საჭირო თანხმობის უქონლობაზეც ილაპარაკა: „გუნდს ლიდერი აკლია. მოედანზე შემართებას ნამდვილად ვერ მოვუწონებ. ისე იქცევიან, თითქოს სხვა გუნდის წევრები იყვნენ და მადრიდში გავლით გამოიარესო...“

მიუხედავად ყოველივე ამისა, ძველი მადრიდელი მაინც იმედიანადაა. „განა ასე უნდა თამაშობდეს მადრიდის „რეალი“? არავითარ შემთხვევაში. საქმე მართლაც სერიოზულადაა, მაგრამ რახან კლუბსაც სერიოზული ხალხი პატრონობს, მდგომარეობის გამოსწორებას აუცილებლად მოახერხებენ. შეუძლებელია, ეს კრიზისი დიდხანს გაგრძელდეს“ — აღნიშნა დელ ბოსკემ.



შესაძლოა, რობინიომ „იუვენტუსში“ გაიცინოს

ულვაშა ოპტიმისტია, „რეალის“ უბრალო ფანებს კი მოთმინების ფიალა აევსოთ, და გაირკვა, რომ მადრიდელებს საამსეზონოდ თავიანთი გუნდის ჩემპიონობისა ნაკლებად სჯერათ. „მარკას“ მიერ 30 500 გამოკითხულიდან დადებითად მარტო 34,08 პროცენტმა უპასუხა, ხოლო 65,92 პროცენტმა ბეჯითად დააფიქსირა ულმობელი **NO**, რაც ყველამ ვიცით, რასაც ნიშნავს.

მეორე გამოკითხვაც იყო „მარკას“ ვებგვერდზე. ვინ არის „რეალის“ დღევანდელ ჩავარდნაში დამნაშავე? 54,04 პროცენტი ფეხბურთელებს ასახელებს, 45,96 პროცენტს საქმის წამხდენად ფაბიო კაპელო მიაჩნია. პროცესში მონაწილეობა 77.600-მა რესპოდენტმა მიიღო.

მადრიდულმა კრიზისმა კი უცხოური მდიდარი კლუბები დააინტერესა. „დეპორტივოსთან“ თამაშის მეორე დღეს „ვალდებებასის“ საწვრთნელ ბაზაზე მოწვეულ საგანგებო კრებაზე ფაბიო კაპელომ „რეალის“ პრეზიდენტს ბრაზისგან აცახცახებული ხმით უთხა: „მომაშორეთ რონალდო. თუ იგი ვარჯიშებს ძველებურად გულგრილად მიუდგება, „ბერნაბეუზე“ მისი ყოფნა ნამდვილად არ მჭირდება. შეგიძლიათ, რონალდო იანვარშივე გაასხვისოთ.“ იტალიელმა ეს მადრიდში თქვა, გაგონებით კი არაბეთში გაიგონეს. „ალ-იტჰადის“ არსებობის შესახებ თუ იცით? ეს ის კლუბია, ექსმადრიდელი და ამჟამად ინტერელი ფიგუ წინასწარ რომ დაიბევა (2007-ის ზაფხულიდან პორტუგალიელი საუდეთში ითამაშებს) და ახლა რონალდოს ყიდვას აპირებს. აბა, კაპელო კაცს გუნდიდან აგდებს და...

არის ამქვეყნად კაცი, სახელად მანსურ ალ ბლოუვი, „ალ-იტიჰადის“ სპორტული დირექტორი, რომელიც კიჭას დაუკავშირდა და არაბეთში გადასვლის იდეა შესთავაზა. „ალ-ილტიჰადი“ „რეალს“ ბრაზილიელის სანაცვლოდ ოც მილიონ ევროს სთავაზობს. მადრიდული „ასი“ კი გვეუბნება, რომ რონალდოს უდაბნოში გადაბარგების შემთხვევაში ლუიშ ფიგუზე მეტ ხელფასს მისცემენ. სეუ ფიგუს სამომავლო საარაბო ჯამაგირი კი წლიურად 4,5 მილიონი ევროა...

თუ ოკეანისგაღმელმა გეზი არაბეთისკენ აიღო, ის და ფიგუ ერთი და იმავე გუნდში მესამეჯერ მოხვდებიან. ბრაზილიელმა და პორტუგალიელმა ერთად ჭაპანი პირველად „ბარსელონაში“ გასწიეს, სადაც სამი ჯილდო მოიგეს, კოპა დელ რეი, ევროპის თასების მფლობელთა თასი და ევროპის სუპერთასი. მეორე იყო „რეალში“ გატარებული პერიოდი, რაც პრიმერას ჩემპიონობის, საკონტინენტთაშორისო თასის და ევროპის სუპერთასის მოგებით აღინიშნა. „ალიტიჰადს“ კი ნუ ეხუმრებით, არაბულ გუნდს უცხოელთაგან ჰყავს გვინეელი კეიტა და სლოვენი ასიმოვიჩი.

რონალდოს გასხვისების სხვა ვარიანტებიც არსებობს. მაგალითად, მისი „მილანში“ გაგზავნა — იტალიაში კიჭას ტალანტს თაყვანს სცემენ და ბერლუსკონის კლუბი მზადაა, ბრაზილიელში 15 მილიონი ევრო გადაიხადოს. „ჩელსიც“ არ დაგვავიწყდეს — „სტემფორდ ბრიჯის“ თავკაცობას შევჩენკოს მადრიდში გაშვება და რონალდოს შეძენა უნდა. უკრაინელმა ინგლისში ვერაფრით იხეირა, ხოლო „ჩელსის“ მწვრთნელი მაურინიუ რონალდოს დიდსაფეხბურთო ნიჭის ერთ-ერთი მოტრფიალე გახლავთ.

იქნებ „რეალშიც“ დარჩეს ბრაზილიელი? ნაკლებად მოსალოდნელია. „დეპორტივოსთან“ შეხვედრამდე ორი დღით ადრე პრეზიდენტმა კალდერონმა რონალდო კაბინეტში გამოიძახა და პირდაპირ უთხრა — კაპელო წვრთნისადმი ზერელე დამოკიდებულების გამო გემდურისო. „რა ვქნა, რაც შემიძლია, ვაკეთებ, ჩემს თავს ხომ არ გადავახტები“ — უპასუხა ფეხბურთელმა. არადა, კაპელოს თუ დავუჯერებთ, შეუძლია რონალდოს ამ ფანტასტიკური ნახტომის გაკეთება — ოღონდ, არ ინდომებს.

მაჰამადუ დიარა კი პრესამ იტალიის გზას გაუყენა. მალელი ნახევარმცველი „რეალმა“ „ლიონიდან“ 2006-ის ზაფხულში იყიდა, ახლა კი, მადრიდული და იტალიური გაზეთების მტკიცებით, დიარა ან იანვარში და ან ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე „ინტერის“ წევრი უნდა გახდეს. მაჰამადუ კაპელოსთან მეგობრულად ვერაა. მას შემდეგ, რაც **CANAL+**-ის კამერების წინ სამეფო თეთრების მწვრთნელი გააკრტიკა, დონ ფაბიოს მიერ შერისხულთა სიაში მოხვდა. თან „ბერნაბეუს“ ახალგაზრდა არგენტინელი ნახევარმცველი ფერნანდო გაგოც შეემატა და... გამარჯობა, „ინტერნაციონალე“! ისე, ცნობისთვის, „რეალმა“ ზაფხულში 26 მილიონად შეიძინა დიარა.

სავარაუდოდ აპენინებზევე გადაბარგდება ბრაზილიელი რობინიოცა. „კორიერე დელო სპორტის“ ცნობით, „იუვენტუსი“ უკან არ დაიხევს და „პატარა რონალდოს“ ხელში ჩაგდებას ყველანაირად ეცდება. „იუვე“ რობინიოში 30 მილიონი ევროს გამეტებას აპირებს.

იგივე „კორიერეს“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მარჩელო ლიპი მოჰყავს. „კალდერონი კაპელოს დაითხოვს და გუნდში მარჩელო ლიპის მოიყვანს“ — აცხადებს იტალიური მედია. ერთი სიტყვით, გაუგებრობაა ესპანეთის სატახტოში.

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მროთგული მასწავლებელი
## ნედვედი ბებერს არ უღალატებს



**პაველ ნედვედი** ამბობს, რომ კარიერის დამთავრება „იუვენტუსში“ უნდა. „შავ-თეთრებს“ შეუძლიათ, ყოველთვის მენდონ — განაცხადა ჩეხმა ვარსკვლავმა.

არადა, მოგეხსენებათ, „იუვენტუსი“ რა დღეშია. კალჩოპოლის სკანდალის გამო სერია B-ში გაგდებულ გუნდს ბევრი ფეხბურთელი გაექცა და ბევრიც მომავალ ზაფხულს აპირებს გაქცევას, ნედვედი კი სწორედ ამ დროს იჩენს ერთგულებას.

„ჩემი გეგმები ძალიან ნათელია. „იუვენტუსი“ გახლავთ კლუბი, რომელიც მწვერვალზე ყოფნის ღირსია და მე ყველა ღონეს ვიხმარ რათა ეს მოხდეს. გუნდს სერია B-ში რომ ჩავყევი ამით იმთავითვე მივანიშნე, რომ ჩემი პრიორიტეტი სწორედ „იუვეა“. 35 წლისა გახლავართ, ამ ასაკის კაცისთვის კი კარიერის ტურინში დამთავრების სურვილი, ვფიქრობ, სრულიად ნორმალურია“.

„ბებერი ქალბატონის“ ასეთი ერთგულების მიუხედავად ნედვედი თანაგუნდელების განსხვავებულ გადაწყვეტილებებს არ კიცხავს.

„ვისაც დარჩენა არ უნდა, ვინც თვლის, რომ აქ, რისი გაკეთებაც შეეძლო გააკეთა და ახლა ძალები სხვაგან უნდა მოსინჯოს, პატივისცემით უნდა მოვეპყროთ, ხოლო რაც შეეხება იმ ფეხბურთელებს, რომლებიც დარჩნენ, განსაკუთრებით მსოფლიოს ჩემპიონებს, მათ მიმართ მადლობის მეტი რა გვეთქმის. მათ უკვე დიდი საქმე გააკეთეს და ამიერიდან წავლენ თუ დარჩებიან მათი გადასაწყვეტია“.

ნედვედის თქმით, მისთვის მთავარი ახლა სერია B-ში გამარჯვებაა და თანაგუნდელებს აფრთხილებს, რომ ეს გარანტირებული სულაც არ აქვთ.

„ვიმედოვნებ, რომ აქაურ ახალგაზრდებს მასწავლებლადაც გამოვადგები. ჩემი სადღეისო ამოცანა სერია A-ში დაბრუნება გახლავთ, თუმცა ამ მიზნის ასრულებამდე ჯერ საკმაოდ შორს ვართ. სეზონის დასრულებამდე ბევრი მატჩია, წინ კიდევ უამრავი ბრძოლა გველის და ნებისმიერი მოულოდნელობისთვის მზად უნდა ვიყოთ“.

შემდეგ ვეტერანს მისი თანამემამულის ზდენეკ გრიგერას შესახებ ჰკითხეს. საქმე ის არის, რომ დაირხა ხმები, თითქოს გრიგერა „აიაქსიდან“ „იუვენტუსში“ გადადის. ნედვედმა უპასუხა:

„გრიგერა კარგი ფეხბურთელია და მას ამსტერდამელებთან კონტრაქტის ვადა ამ სეზონის ბოლოს ეწურება. ის მხოლოდ 26 წლისაა, თან იტალიაში, განსაკუთრებით კი „იუვენტუსში“ გადმოსვლაზე ოცნებობს. თუ შემოგვიერთდება, ბედნიერი ვიქნები, რამეთუ „იუვე“ ძლიერ მცველს შეიძენს“.

**ბაჩუნა ძიძია**

# ოჯახის და სიტყვის კაცი
## ლუჩანო სპალეტის ფრანჩესკო ტოტის უარი უჭირია

**მართალია**, „რომას“ მწვრთნელს ლუჩანო სპალეტის კლუბთან კონტრაქტი ჯერ არ განუახლებია, მაგრამ ამაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს და ფანებსამშვიდებს, ეს მხოლოდ და მხოლოდ ფორმალობააო.

როდის ეწურება სპალეტის „ჯალოროსისთან“ ამჟამად მოქმედი კონტრაქტის ვადა? ივნისში. გავრცელებულ ხმათა თანახმად კი კლუბი და მწვრთნელი ამ დღეებში ახალ ხუთწლიან კონტრაქტთან იყვნენ ახლოს.

სპალეტი ამბობს: „ახალ კონტრაქტს ხელი არ მოვაწერე, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს. ჩათვალეთ, რომ ხელშეკრულებაზე ჩემი ხელმოწერა უკვე დასმულია. ბედნიერი ვარ, რომ ისეთმა მოთამაშეებმა, როგორიც მაგალითად, ფრანჩესკო ტოტია, მითხრეს, რომ ჩემთან მუშაობა მოსწონთ და უნდათ, რომ მათი მწვრთნელი ისევ მე ვიყო. მე კლუბის პრეზიდენტის ფრანჩესკო სენსის ოჯახს კარგად ვიცნობ. როდესაც ეს ოჯახი სიტყვას ამბობს, ასრულებს კიდეც. დარწმუნებული ვარ ყველა საკონტრაქტო დეტალი თავის ადგილას ჩაჯდება“.



ლუჩანო სპალეტი

შემდეგ, „უდინეზეს“ ოდინდელმა თავკაცმა ფრანჩესკო ტოტის ერთ ნათქვამსაც გაუკეთა კომენტარი: ნაკრებში თამაში შესაძლოა აღარ განვააახლოო, განაცხადა ამასწინათ „რომას“ კაპიტანმა.

„თუ ტოტი ნაკრებში აღარ ითამაშებს ეს „რომასთვის“ მართლაც კარგი იქნება. ტოტი ნაკრების თავკაც რობერტო დონადონის ესაუბრა. ფირფიტა, რომელიც მას კოჭში ჯერ კიდევ უდევს, მართლაც პრობლემური რამ გახლავთ. ერთი სიტყვით, ნაკრებიდან წასვლის გადაწყვეტილება იმით არის ნაკარნახევი, რომ ფრანჩესკომ შესაძლოა ყველა შეხვედრაში სრული დატვირთვით თამაში ველარ შეძლოს, მართალია, დიდი ვარსკვლავი ნებისმიერ ნაკრებს სჭირდება და ფრანჩესკო სწორედ ასეთია, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც მე მას ვერაფერს ვურჩევ“.

**ბაჩუნა ძიძია**



კრისტიან ვილჰელმსონი

# ნაქირავები შვედი გლადიატორი რომაში

**„რომამ“** საწადელი აისრულა, „ნანტიდან“ კრისტიან ვილჰელმსონი გადაიყვანა, „მანჩესტერ იუნაიტედის“ სასურველი ფეხბურთელი სალვატორე ფოტი კი „ვიჩენცას“ წევრი გახდა.

შვედი ვილჰელმსონი 27 წლის არის. მისი იტალიის დედაქალაქში გადასვლის ამბავი ბოლო წამამდე არ იყო ცნობილი, თუმცა საბოლოოდ რომაელებმა ქირაობის ხელშეკრულება მაინც გააფორმეს.

განცხადებაში, რომელიც „ჯალოროსის“ ოფისიდან გავრცელდა, წერია: „რომას“ აქვს ფეხბურთელის გამოსყიდვის უფლებაც. ბოლო ვადა 2007 წლის 1 მაისამდეა. თანხა, რომელიც 3 მილიონ ევროს უდრის, ორ ნაწილად გადაიხდება, 2007 წლის 1 ივლისამდე და 2006 წლის 3 იანვრამდე“.

სხვა სიტყვებით, უნდა თუ არა კრისტიან ვილჰელმსონის დატოვება „რომამ“ 1 მაისამდე უნდა გადაწყვიტოს. თუ უნდა, მაშინ 3 მილიონი ევრო ზემოთ დასახელებულ ორ თარიღამდე ნაწილ-ნაწილ უნდა გადაიხადოს.

და რა დაჯდა ვილჰელმსონის ქირაობა სეზონის ბოლომდე? 118 400 ევრო. აქვე აღვნიშნოთ, რომ ნანტელმა „ტრივორიას“ საწვრთნელ ბაზაზე სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა. ცნობილია ხელფასის ამბავიც. იმ შემთხვევაში, თუ „რომა“ ვილჰელმსონს დაიტოვებს, ფეხბურთელი ოთხი წლის განმავლობაში ყოველწლიურად 1,8 მილიონ ევროს მიიღებს.

ასე და ამგვარად, იანვრის სატრანსფერო ფანჯარაში „რომამ“ უკვე მეორე სასურველი ფეხბურთელი გააძვრინა. პირველი გახლდათ ფრანჩესკო ტავანო, რომელიც „ჯალოროსიმ“ „ვალენსიიდან“ იქირავა.

რაც შეეხება სხვა სატრანსფერო ამბებს: „სამპდორიამ“ ყმაწვილი ბომბარდირი, სალვატორე ფოტი სერია B-ში მოფართხალე „ვიჩენცას“ მიაქირავა. ფოტიმ გასული სეზონის რამდენიმე შეხვედრაში გამოიჩინა თავი. მასზე ამბობდნენ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედში“ ან „არსენალში“ უნდა გადასულიყო, მაგრამ, როგორც ხედავთ ასე არ მოხდა. აღსანიშნავია, რომ ფოტი ამ სეზონში სერია A-ს შეხვედრაშიც კი არ ათამაშეს. ასე რომ, რეგულარული დატვირთვა მას სერია B-ში, სტადიო „რომეო მენტიზე“ უფრო ელის.

**ბაჩუნა ძიძია**

# პადელი შემჩნეულია და ლივერპულშია

**21-წლამდელი** იტალიელი მეკარე დანიელე პადელი ექვსი თვით „ლივერპულში“ გადავა. ფეხბურთელის აგენტმა სილვანო მარტინამ განაცხადა, რომ საქმე „სამპდორიას“ მოთამაშის გაქირავებასთან გვაქვს.

აღსანიშნავია, რომ პადელი „სამპდორიას“ კი ეკუთვნის, მაგრამ სერია B-ს „კროტონეში“ გახლდათ განათხოვრებული, თუმცა ძირითად შემადგენლობაში ვერც იქ მოიკიდა ფეხი, რადგან კროტონელები მაინც ვეტერან სალვატორე სოვიეროს ენდნენ.

„პადელი ლივერპულში ჩავა და სამედიცინო შემოწმებას გაივლის — განაცხადა აგენტმა მარტინამ — მხარეები ექვს თვეზე შეთანხმდნენ, რაც ახალგაზრდა მცველს დიდ კლუბში თამაშის უნიკალურ შესაძლებლობას მისცემს“.

პადელი, რომელიც 21-წლამდელ იტალიელთა მარაქაში 2005 წლის თანატოლთა მუნდიალზე იყო, „ლივერპულში“ გადასვლით აღფრთოვანებულია.

„ოცნება ამიხდა. ვფიქრობ, „ლივერპულმა“ იმიტომ შემამჩნია, რომ იტალიის 21-წლამდელთა ნაკრებში გამომიძახეს. ახლა ერთი სული მაქვს პრემიერლიგაში როდის მათამაშებენ“.

**ბაჩუნა ძიძია**

# პარტიზანი ჯუკიჩი



მიროსლავ ჯუკიჩი

**ბელგრადის** „პარტიზანის“ მწვრთნელად მიროსლავ ჯუკიჩი დანიშნეს, რომელიც მანამდე სერბეთის 21-წლამდელთა ნაკრებს თავკაცობდა. „პარტიზანი“ კრიზისშია და კლუბის პატრონს ახალი მწვრთნელის ეიმედება. 40 წლის მიროსლავ ჯუკიჩმა მიოდრაგ იეჟიჩი შეცვალა. იეჟიჩი იანვრის დასაწყისში მოხსნეს შინაურ ჩემპიონატში და ევროთასებზე ცუდი შედეგების გამო.

„ვიცი, რომ მოვედი ჩემპიონ კლუბში, რომელსაც საჩემპიონო ამბიციები აქვს და მუდამ პირველობისთვის იბრძვის — განაცხადა ჯუკიჩმა — გამოწვევის არ მეშინია, მწამს საკუთარი ძალისა და „პარტიზანის“ ფეხბურთელებისა“.

კლუბის პატრონმა ნენად პოპოვიჩმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ „პარტიზანში“ 21-წლამდელთა ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი თამაშობს და ამიტომაც შეაჩერა არჩევანი მიროსლავ ჯუკიჩზე.

სერბეთის ჩემპიონატში 16 ტურის შემდეგ პირველ ადგილზეა „ცრვენა ზვეზდა“ 41 ქულით, „პარტიზანი“ კი მეოთხეა 27-ით. გუნდი ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდა, ხოლო უეფას თასზე ჯგუფში ჩარჩა.

გარდა ამისა, კლუბის დირექტორატის რამდენიმე წევრს ფინანსურ მაქინაციებში დასდეს ბრალი, რამაც გულშემატკივართა პროტესტი გამოიწვია და მათ „პარტიზანის“ მატჩებს ბოიკოტი გამოუცხადეს, ბელგრადის ცენტრში კი აქციები გამართეს.

რაც შეეხება მიროსლავ ჯუკიჩს, კარიერის განმავლობაში „დეპორტივოში“, „ვალენსიაში“ და „ტენერიფეში“ თამაშობდა. იუგოსლავიის ნაკრებში 49 მატჩი გამართა და ორი გოლი გაიტანა. სერბეთის 21-წლამდელთა გუნდი შარშან ზაფხულს ჩაიბარა და ევრო 2007-ის საგზური მოაპოვებინა.

**ირაკლი ნინიძე**

## ფეხბურთის რუკასთან

**ფრანგული** „ლიონის“ მეკარე გრეგორი კუპე ბარძაყის ტრავმის გამო სამ მატჩს გამოტოვებს. კუპემ ტრავმა „ავირონთან“ სათასო შეხვედრაში მიიღო, რომელიც „ლიონმა“ 3:1 მოიგო. მომდევნო მატჩი საფრანგეთის ჩემპიონს „ტულუზთან“ აქვს, შემდეგ „ლე მანს“ ხვდება ლიგის თასზე, მერე კი — ქვედალიგელ „ლიონს“ საფრანგეთის თასზე.

**ესპანური** „სევილიას“ ფორვარდი ლუის ფაბიანო და „სარაგოსას“ მცველი კარლოს დიოგო ხუთ-ხუთ მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. ამ გუნდების შეხვედრა სარაგოსაში გასულ შაბათს გაიმართა და მასპინძლებმა 2:1 იმარჯვეს. ფაბიანომ და დიეგომ კი იმის გამო იჩხუბეს, რომ მეორემ პირველს ხელზე ფეხი დააბიჯა.

**გერმანულმა** „კოტბუსმა“ ალბანეთის ნაკრების ნახევარმცველი ერვინ შკელა შეიძინა. 30 წლის ფეხბურთელმა ორწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. შკელას „არმინიაში“, „აინტრახტსა“ და „კაიზერსლაუტერნში“ უთამაშია, ბოლოს კი იტალიურ „ემპოლიში“ იყო.

**ფრანგული** „მონაკოს“ ნახევარმცველი ლუკას ბერნარდი მუხლის ტრავმის გამო ოთხი თვით დააკლდება გუნდს. არგენტინელი დეკემბერში დაშავდა და ახლა გაირკვა, რომ საოპერაციოა, ოპერაციის შემდეგ კი ოთხი თვე დასჭირდება მოედანზე დასაბრუნებლად.

**ავსტრიულმა** „ავსტრიამ“ გერმანული „მიონხენგლადბახიდან“ 23 წლის მეგოლე ვაცლავ სვერკოში გადაიბირა. ჩეხეთის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ფორვარდი „ავსტრიაში“ იჯარით გადავიდა, მაგრამ სეზონის ბოლოს ვენურ კლუბს მისი კონტრაქტის გამოსყიდვის უფლება ექნება.

**ესპანურმა** „ხიმნასტიკმა“ არგენტინული „ბოკა ხუნიორსიდან“ ხოსე მარია კალვო გადაიყვანა და შესაძლოა, მალე „ჩელსის“ ყოფილი ნახევარმცველი კიკე დე ლუკასიც შეიძინოს. კალვო სეზონის ბოლომდე ითამაშებს პრიმერადივიზიონში. მისი ქირაობა გუნდს 920 ათასი ევრო დაუჯდა.

**გერმანულმა** „მიონხენგლადბახმა“ დანიელი ფორვარდი მიკელ ტიგესენი შეიძინა. 22 წლის ფეხბურთელი ბუნდესლიგურ კლუბში „მიდტიულანდიდან“ გადავიდა და სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „რამდენიმე თვის განმავლობაში ვაკვირდებოდით და მისი ყიდვა გადავწყვიტეთ, რადგან ჩვენ შეტევაში სიმწვავე გვაკლია, ტიგესენი კი ძალიან სწრაფი და გამტანი მოთამაშეა“ — განაცხადა „გლადბახის“ სპორტულმა დირექტორმა პეტერ პანდერმა. დანიელი ფეხბურთელის სანაცვლოდ გერმანელებმა მილიონ 200 ათასი ევრო გადაიხადეს.

# ანჩელოტის ესპანური ინგლისურს ურჩევნია



**კარლო ანჩელოტი** იმ პერიოდზე ფიქრობს, როდესაც „მილანიდან“ წავა და ესპანეთს — სადაც შესაძლოა ფაბიო კაპელო შეცვალოს — ინგლისზე წინ აყენებს.

„ესპანური ფეხბურთი ინგლისურზე მეტად მომწონს — განმარტავს სკუდეტოს, ჩემპიონთა ლიგის, კოპა იტალიას და ევროპის სუპერთასის მომგები მწვრთნელი — თუ „მილანის“ გარდა სხვა გუნდზე ოდესმე მართლა დავიწყებ ლაპარაკს, პრემიერლიგაზე წინ პრიმერადივიზიონს დავაყენებ“.

ერთი შეხედვით ამ განცხადებას ხალხი უნდა გაეოცებინა, მაგრამ ასე არ მოხდა, რადგან ბოლო პერიოდში ევროპულ პრესაში ანჩელოტის „რეალსა“ და „ვალენსიასთან“ აკავშირებენ.

დიახ, სწორედ ანჩელოტის განიხილავენ მადრიდში ფაბიო კაპელოს ერთ-ერთ ყველაზე რეალურ შემცვლელად — მოგეხსენებათ, კაპელოს ხელში „რეალი“ საშინელ დღეშია, თუნდაც ბოლო ოთხ თამაშში ნაწვნევი სამი მარცხი რად ღირს. რომაული გაზეთის „ტუტოსპორტის“ ვერსიით ანჩელოტის „რეალში“ გადასვლა კიდევ ერთი ტრანსფერის, მადრიდელთა მხრივ კაკას გადაბირების წინაპირობა იქნება. მოგეხსენებათ, იმაზე, რომ „რეალი“ კაკას „მილანის“ ზურგსუკან ურიგდებოდა, გასულ ზაფხულს ფიფამაც კი გაიგო, მაგრამ ამის მიუხედავად მადრიდელებმა ბრაზილიელის სავარაუდო გადაბირებაზე ინტერვიუების მიცემას თავი მაინც არ დაანებეს.

და „ვალენსია“? ანჩელოტისთვის ესეც ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტია. თუ იგი „მესტალიაზე“ მივა, მადრიდისა არ იყოს, იქაც თანამემამულის, კლაუდიო რანიერის შეცვლა მოუწევს.

**პაპუნა ძიდია**



# მარტინსს ხლართავენ

**„ნიუკასლის“** უფროსობა ბრაზობს იმის თაობაზე, რომ მავანმა აგენტებმა ნიგერიელი ობაფემი მარტინსის „ჩელსიში“ გადასაყვანად ოპერაციის ხლართვა დაიწყეს.

ამბობენ, რომ „ჩელსის“ მარტინსი დიდიე დროგბას იდეალურ მეწყვილედ დაუსახავს. თუმცა, მიჩნეულია, რომ ეს სულ აგენტების დაყრილი ხმებია, რადგან ნიუკასლელთა თავმჯდომარე ფრედი შეპერდი „ჩელსის“ შეფ პიტერ კინიონსაც კი გასაუბრებია და უკანასკნელს ყოველივე უარყვია, ასევე, მარტინსაც უთქვამს, ამ საქმისა არაფერი ვიციო.

მას ხუთწლიანი კონტრაქტი აქვს „ნიუკასლთან“ და იქაურობისთვის მარტინსი ალან შირერის შემცვლელადაა დასახული, რასაც მისთვის შირერისავე მაისურის მიცემაც მოწმობს.

მარტინსი, აგვისტოდან მოყოლებული, 22-ჯერ იყო სასტარტოში და 9 გოლი გაიტანა. „ნიუკასლი“ მას ნამდვილად ვერ შეელევა, ალბერტო ლუკეს გასხვისება კი უნდა. ისე ჩანს, რომ 28 წლის ესპანელს „ეინდჰოვენი“ იქირავებს, „ჩელსის“ კი ჩანს სხვა მიზნები აქვს. ბერლინის „ჰერტას“ ხორვატმა მცველმა იოსიპ შიმუნიჩმა გუშინ თქვა, რომ ლონდონელები მისით ძალიან დაინტერესებულან, თუმცა, ყველაფერი „ჰერტაზეა“ დამოკიდებული.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ჩეხი შუქნიშანთან

**„ჩელსის“** მეკარემ პეტრ ჩეხმა თქვა, რომ მზადაა ძირითად შემადგენლობაში სათამაშოდ. ჩეხი გოლკიპერი ოქტომბერში „რედინგთან“ მატჩში დაშავდა — თავის ქალა დაუზიანდა — და ახლა უკვე მომჯობინდა. ჩეხი ამჟამად მხოლოდ „ჩელსის“ ექიმების „მწვანე შუქს“ ელოდება და ალბათ მალე კვლავ კარში ვიხილავთ. „გარწმუნებთ, რომ 100 პროცენტით მზად ვარ — განაცხადა მეკარემ საკუთარ ვებგვერდზე — მხოლოდ ექიმის თანხმობას ველი და ისღაა გასარკვევი, თუ როდის დამაყენებენ ძირითად შემადგენლობაში.“



ჟოზე მაურინიუს ეს ამბავი ძალიან ახარებს, რადგან დაცვაში ისედაც უჭირს, მთავარი მცველი ჯონ ტერი ტრავმირებულია, კარში კი ხან ილარიო დგას ხან — კუდიჩინი. „ჩელსი“ საშობაო ოთხ ტურში უკვე ექვსი ქულით ჩამორჩა „მანჩესტერ იუნაიტედს“.

სწორედ ტერის ტრავმა აღნიშნა პეტერ ჩეხმა: „ცხადია, ტერი რომ ყოფილიყო, ამდენ გოლს არ გავუშვებდით. თან ამას უიღბლობაც დაერთო და ალოგიკური გოლები გაგვიტანეს. მართალია, „მანჩესტერი“ ექვსი ქულით გაგვექცა, მაგრამ საჩემპიონო რბოლა ჯერ არ დამთავრებულა.“

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 16:45 | 35 | უოტფორდი-ლივერპული | 7.00 | 4.00 | 1.42 | 2.54 | 1.18 | 1.04 |
| 19:00 | 37 | ბოლტონი-სიტი | 1.80 | 3.30 | 4.60 | 1.16 | 1.29 | 1.92 |
| 19:00 | 38 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 2.55 | 3.20 | 2.65 | 1.41 | 1.29 | 1.44 |
| 19:00 | 39 | ჩელსი-უიგანი | 1.20 | 5.70 | 15.00 | 1.00 | 1.11 | 4.13 |
| 19:00 | 40 | მანჩესტერი-ასტონ ვილა | 1.20 | 5.30 | 14.00 | 1.00 | 1.10 | 3.84 |
| 19:00 | 41 | შეფილდი-პორტსმუთი | 2.70 | 3.20 | 2.50 | 1.46 | 1.29 | 1.40 |
| 19:00 | 42 | ვესტ ჰემი-ფულჰემი | 2.20 | 3.20 | 3.20 | 1.30 | 1.30 | 1.60 |
| 21:15 | 44 | ბლეკბერნი-არსენალი | 4.30 | 3.50 | 1.75 | 1.92 | 1.24 | 1.16 |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 17:45 | 36 | ევერტონი-რედინგი | 2.00 | 3.20 | 3.70 | 1.23 | 1.29 | 1.71 |
| 20:00 | 43 | ტოტენჰემი-ნიუკასლი | 1.80 | 3.30 | 4.50 | 1.16 | 1.28 | 1.90 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **12 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 81 | ვესტ ბრომვიჩი-ლუტონი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 82 | ბარნსლი-პრესტონი | 2.90 | 3.20 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| 19:00 | 83 | ბირმინგემი-ლიდსი | 1.45 | 3.60 | 8.00 | 1.03 | 1.22 | 2.48 |
| 19:00 | 84 | კარდიფი-საუთენდი | 1.70 | 3.40 | 4.60 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| 19:00 | 85 | კოლჩესტერი-ლესტერი | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 19:00 | 86 | ქოვენტრი-კრისტალ პალასი | 2.10 | 3.10 | 3.30 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| 19:00 | 87 | დერბი-ბერნლი | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 19:00 | 88 | ჰალი-ქპრ | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 89 | ნორვიჩი-პლიმუთი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 19:00 | 91 | სტოუკი-ვულვერჰემპტონი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 92 | სანდერლენდი-იფსვიჩი | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 141 | ბლეკპული-პორტ ვეილი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 19:00 | 142 | ბრენტფორდი-სვონსი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 19:00 | 143 | ბრედფორდი-ლეიტონი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 144 | ბრაიტონი-მილუოლი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 19:00 | 145 | ბრისტოლი-ტრანმერი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 19:00 | 146 | ქრიუ-ბორნმუთი | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 19:00 | 147 | ჯილინგემი-დონკასტერი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 19:00 | 148 | ჰადერსფილდი-ჩესტერფილდი | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 19:00 | 149 | ნორთჰემპტონი-კარლაილი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 19:00 | 150 | ნოტინგემი-იოვილი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 19:00 | 151 | როტერჰემი-ჩელტენჰემი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 152 | სკანთორპი-ოლდჰემი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 201 | აკრინგტონი-ნოტსი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 19:00 | 202 | ბარნეტი-მაკლსფილდი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 203 | ჩესტერი-უიკომბი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 19:00 | 204 | დარლინგტონი-პიტერბორო | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 19:00 | 205 | ჰარტლპული-ბოსტონი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| 19:00 | 206 | ჰერეფორდი-მენსფილდი | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 19:00 | 207 | ლინკოლნი-შრუსბერი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 19:00 | 208 | როჩდეილი-როვერსი | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 19:00 | 209 | სტოკპორტი-მილტონი | 1.90 | 3.20 | 3.75 | 1.19 | 1.26 | 1.72 |
| 19:00 | 210 | სუინდონი-რექსჰემი | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 19:00 | 211 | ტორკი-ბერი | 2.65 | 3.20 | 2.45 | 1.44 | 1.27 | 1.38 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 278 | აბერდინი-ინვერნესი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 19:00 | 279 | ფოლკირკი-დანფერმლაინი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 19:00 | 280 | რეინჯერსი-დანდი იუნაიტედი | 1.27 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.12 | 3.10 |
| 19:00 | 281 | სტ.მირენი-მაზერველი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 18:00 | 282 | ჰართსი-სელტიკი | 4.20 | 3.20 | 1.80 | 1.81 | 1.25 | 1.15 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 297 | ეარდრი-დანდი | 2.35 | 3.30 | 2.55 | 1.37 | 1.22 | 1.43 |
| 19:00 | 298 | ლივინგსტონი-სტ.ჯონსტონი | 2.55 | 3.40 | 2.30 | 1.45 | 1.20 | 1.37 |
| 19:00 | 299 | პარტიკი-გრეტნა | 4.20 | 3.50 | 1.70 | 1.90 | 1.21 | 1.14 |
| 19:00 | 300 | ქუინი-კლაიდი | 2.70 | 3.30 | 2.25 | 1.48 | 1.22 | 1.33 |
| 19:00 | 301 | როსი-ჰამილტონი | 2.35 | 3.30 | 2.55 | 1.37 | 1.22 | 1.43 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 312 | კოუდენბითი-პიტერჰედი | 1.70 | 3.50 | 4.20 | 1.14 | 1.21 | 1.90 |
| 19:00 | 313 | ფორფარი-ეარი | 2.95 | 3.30 | 2.10 | 1.55 | 1.22 | 1.28 |
| 19:00 | 314 | მორტონი-ალოა | 1.30 | 4.60 | 8.00 | 1.01 | 1.11 | 2.92 |
| 19:00 | 315 | სტერლინგი-რეითი | 1.55 | 3.70 | 5.00 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| 19:00 | 316 | სტრანრაერი-ბრეჩინი | 2.75 | 3.40 | 2.20 | 1.52 | 1.22 | 1.33 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 328 | დამბარტონი-არბროთი | 2.25 | 3.30 | 2.70 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 19:00 | 329 | ისტ ფაიფი-ისტ სტერლინგი | 1.25 | 5.00 | 8.00 | 1.00 | 1.08 | 3.07 |
| 19:00 | 330 | მონტროუზი-ალბიონი | 2.55 | 3.40 | 2.35 | 1.45 | 1.22 | 1.38 |
| 19:00 | 331 | ქუინზ პარკი-ბერვიკი | 2.40 | 3.40 | 2.45 | 1.40 | 1.21 | 1.42 |
| 19:00 | 332 | სტენჰაუსმუირი-ელგინი | 1.50 | 3.50 | 5.60 | 1.04 | 1.18 | 2.15 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 21:00 | 333 | ემპოლი-პარმა | 2.10 | 2.90 | 3.80 | 1.21 | 1.35 | 1.64 |
| 23:30 | 334 | ტორინო-ინტერი | 6.00 | 3.30 | 1.60 | 2.12 | 1.26 | 1.07 |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 18:00 | 335 | ატალანტა-ლივორნო | 2.00 | 2.90 | 4.30 | 1.18 | 1.36 | 1.73 |
| 18:00 | 336 | კალიარი-ასკოლი | 1.60 | 3.50 | 6.00 | 1.09 | 1.26 | 2.21 |
| 18:00 | 337 | კიევო-კატანია | 2.25 | 2.90 | 3.20 | 1.26 | 1.32 | 1.52 |
| 18:00 | 338 | მესინა-რომა | 6.00 | 3.50 | 1.55 | 2.21 | 1.23 | 1.07 |
| 18:00 | 339 | მილანი-რეჯინა | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| 18:00 | 340 | პალერმო-უდინეზე | 1.60 | 3.30 | 6.00 | 1.07 | 1.26 | 2.12 |
| 18:00 | 341 | სამპდორია-ფიორენტინა | 2.85 | 2.90 | 2.55 | 1.43 | 1.34 | 1.35 |
| 23:30 | 342 | ლაციო-სიენა | 1.65 | 3.10 | 6.00 | 1.07 | 1.29 | 2.04 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **12 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 351 | სპეცია-პიაჩენცა | 2.70 | 2.70 | 2.70 | 1.35 | 1.35 | 1.35 |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 344 | ბარი-ალბინოლეფე | 2.10 | 2.60 | 4.30 | 1.16 | 1.41 | 1.62 |
| 19:00 | 345 | ბოლონია-ტრევიზო | 1.60 | 3.10 | 6.80 | 1.05 | 1.29 | 2.12 |
| 19:00 | 346 | ჩეზენა-ლეჩე | 1.90 | 2.90 | 4.30 | 1.14 | 1.31 | 1.73 |
| 19:00 | 347 | ფროზინონე-კროტონე | 2.00 | 2.70 | 4.20 | 1.14 | 1.35 | 1.64 |
| 19:00 | 348 | მანტოვა-იუვენტუსი | 7.50 | 3.30 | 1.50 | 2.29 | 1.25 | 1.03 |
| 19:00 | 349 | ნაპოლი-ვერონა | 1.30 | 4.30 | 10.00 | 1.00 | 1.15 | 3.00 |
| 19:00 | 350 | პესკარა-ჯენოა | 4.80 | 2.70 | 1.85 | 1.72 | 1.33 | 1.09 |
| 19:00 | 352 | ტრიესტინა-მოდენა | 2.00 | 2.80 | 4.20 | 1.16 | 1.35 | 1.67 |
| 19:00 | 353 | ვიჩენცა-ბრეშა | 2.50 | 2.70 | 3.00 | 1.29 | 1.36 | 1.42 |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 343 | არეცო-რიმინი | 3.40 | 2.90 | 2.20 | 1.56 | 1.33 | 1.25 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 384 | ესპანიოლი-ბარსელონა | 5.50 | 3.40 | 1.60 | 2.10 | 1.23 | 1.08 |
| 23:00 | 391 | ვალენსია-ლევანტე | 1.33 | 4.50 | 9.00 | 1.02 | 1.15 | 3.00 |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 22:00 | 383 | სელტა-ატლეტიკო | 2.50 | 3.10 | 2.65 | 1.38 | 1.28 | 1.42 |
| 20:00 | 385 | ტარაგონა-ხეტაფე | 2.65 | 3.20 | 2.50 | 1.44 | 1.28 | 1.40 |
| 20:00 | 386 | ოსასუნა-ბეტისი | 1.95 | 3.20 | 3.75 | 1.21 | 1.28 | 1.72 |
| 23:45 | 387 | რეალი-სარაგოსა | 1.60 | 3.40 | 5.70 | 1.08 | 1.24 | 2.12 |
| 20:00 | 388 | უელვა-დეპორტივო | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 20:00 | 389 | რასინგი-სოსიედადი | 2.05 | 3.20 | 3.50 | 1.24 | 1.29 | 1.67 |
| 20:00 | 390 | სევილია-მალიორკა | 1.30 | 4.50 | 9.50 | 1.00 | 1.14 | 3.05 |
| 20:00 | 555 | ბილბაო-ვილარეალი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 21:30 | 403 | ალავესი-ლორკა | 1.65 | 3.10 | 5.50 | 1.07 | 1.26 | 1.98 |
| 21:30 | 404 | ალბასეტე-ვალიადოლიდი | 2.60 | 2.90 | 2.60 | 1.37 | 1.29 | 1.37 |
| 21:30 | 407 | კასტელონი-ელჩე | 1.75 | 3.20 | 4.50 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| 21:30 | 408 | სპორტინგი-ეიბარი | 1.85 | 3.00 | 4.20 | 1.14 | 1.28 | 1.75 |
| 21:30 | 410 | ლას პალმასი-ხერესი | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 20:30 | 405 | ალმერია-რეალი(ბ) | 1.75 | 3.20 | 4.50 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| 15:00 | 406 | კადისი-მალაგა | 2.10 | 2.80 | 3.60 | 1.20 | 1.32 | 1.57 |
| 20:00 | 409 | ჰერკულესი-პონფერადინა | 1.70 | 3.10 | 5.00 | 1.09 | 1.26 | 1.91 |
| 20:00 | 411 | მურსია-ვეჩინდარიო | 1.50 | 3.50 | 6.20 | 1.04 | 1.20 | 2.23 |
| 20:30 | 412 | ნუმანსია-სეუტა | 2.20 | 2.90 | 3.20 | 1.25 | 1.30 | 1.52 |
| 20:00 | 413 | სალამანკა-ტენერიფე | 1.70 | 3.10 | 5.00 | 1.09 | 1.26 | 1.91 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 23:00 | 414 | ისტრი-სედანი | 2.10 | 2.90 | 3.60 | 1.21 | 1.32 | 1.60 |
| 23:00 | 415 | ბორდო-ლორიანი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 23:00 | 416 | ლე მანი-ტრუა | 1.85 | 3.00 | 4.50 | 1.14 | 1.31 | 1.79 |
| 20:10 | 417 | ლანსი-ლილი | 2.15 | 2.90 | 3.50 | 1.23 | 1.33 | 1.58 |
| 23:00 | 418 | ნანტი-ნიცა | 2.05 | 2.90 | 3.80 | 1.20 | 1.33 | 1.64 |
| 18:00 | 419 | პსჟ-ვალენსიენი | 1.65 | 3.20 | 5.30 | 1.08 | 1.25 | 1.99 |
| 23:00 | 421 | სოშო-ნანსი | 2.75 | 2.90 | 2.65 | 1.41 | 1.34 | 1.38 |
| 23:00 | 423 | ტულუზა-ლიონი | 6.50 | 3.60 | 1.50 | 2.31 | 1.21 | 1.05 |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 420 | რენი-მარსელი | 2.30 | 2.90 | 3.20 | 1.28 | 1.33 | 1.52 |
| 21:00 | 422 | სენტ-ეტიენი-მონაკო | 1.95 | 3.00 | 4.00 | 1.18 | 1.31 | 1.71 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 17:30 | 453 | ტილბურგი-ბრედა | 2.25 | 3.30 | 2.80 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **12 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 467 | ბოავისტა-მარიტიმუ | 2.10 | 3.20 | 3.25 | 1.26 | 1.27 | 1.61 |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 466 | ბელენენსეში-სპორტინგი | 4.20 | 3.30 | 1.75 | 1.84 | 1.23 | 1.14 |
| 23:15 | 470 | ნასიონალი-ბრაგა | 2.35 | 3.10 | 2.80 | 1.33 | 1.27 | 1.47 |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 465 | ავეში-პორტუ | 7.50 | 4.00 | 1.40 | 2.60 | 1.17 | 1.03 |
| 20:00 | 468 | ფერეირა-ბეირა მარი | 1.65 | 3.40 | 4.90 | 1.11 | 1.23 | 2.00 |
| 20:00 | 469 | ლეირია-ამადორა | 1.80 | 3.30 | 4.10 | 1.16 | 1.25 | 1.82 |
| 20:00 | 471 | სეტუბალი-ნავალი | 2.50 | 3.10 | 2.65 | 1.38 | 1.28 | 1.42 |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 464 | აკადემიკა-ბენფიკა | 5.30 | 3.50 | 1.60 | 2.10 | 1.22 | 1.09 |
| | | **იტალია. თასი** | | | | | | |
| | | **11 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 553 | მილანი-არეცო | 1.12 | 6.20 | 18.00 | 1.00 | 1.05 | 4.61 |
| | | **ესპანეთი. თასი** | | | | | | |
| | | **11 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 196 | ბეტისი-რეალი | 3.20 | 3.20 | 2.05 | 1.60 | 1.24 | 1.24 |
| | | **ბელგია. თასი** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 23:00 | 511 | ლოკერენი-ანტვერპენი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 23:00 | 512 | რუზელარე-გენტი | 2.60 | 3.20 | 2.50 | 1.43 | 1.27 | 1.40 |
| 23:00 | 513 | სტანდარდი-ვესტერლო | 1.15 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.53 |
| 23:45 | 514 | გენკი-მუსკრონი | 1.35 | 4.20 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.75 |
| 23:00 | 515 | ანდერლეხტი-ლუვენი | 1.20 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.77 |
| 23:00 | 516 | ბრიუგე-ვარეგემი | 1.38 | 4.10 | 7.50 | 1.03 | 1.16 | 2.65 |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 18:00 | 517 | კორტრეიკი-სტ.ტრუიდენი | 2.90 | 3.20 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| 20:30 | 518 | მეხელენი-ბეველენი | 2.90 | 3.20 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| | | **საბერძნეთი. თასი** | | | | | | |
| | | **11 იანვარი** | | | | | | |
| 17:00 | 556 | იონიკოსი-კერკირა | 2.15 | 2.90 | 3.30 | 1.23 | 1.30 | 1.54 |
| 20:45 | 557 | ლარისა-ოფი | 2.10 | 2.90 | 3.30 | 1.21 | 1.28 | 1.54 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# რუსი არც ავსტრალიაში აგვცდა

## ჩახნაშვილი პავლიუჩენკოვათი იწყებს



**გუშინ** მოახლოებული ავსტრალიის ღია პირველობის ორგანიზატორებმა საკვალიფიკაციო ეტაპის ბადეები გამოაქვეყნეს და გაირკვა, რომ საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელს მაკა ჩახნაშვილს პირველ წრეში 15 წლის რუსი ანასტასია პავლიუჩენკოვა შეხვდება.

სამწუხაროდ, მაკა ერთადერთი ქართველია, რომელიც წელს „მელბურნ პარკის“ კორტებზე ითამაშებს. რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ რუსეთის სახელით მოასპარეზე ქართველებს ანა ჩაკვეტაძესა და თეიმურაზ გაბაშვილს. ვვარაუდობდით, რომ ავსტრალიაში ირაკლი ლაბაძეც გაიქნევდა ჩოგანს, მაგრამ ჩვენი სადევისთასო ნაკრების ლიდერმა ამ ჯერზე მწვანე კონტინენტზე წასვლა არ ინდომა.

რაც შეეხება ჩახნაშვილს, მისი პირველი მეტოქე ამ წუთისთვის WTA-ს რეიტინგში 377-ე ადგილზეა. თუ რუს თინეიჯერს გაივლის, მაკა, ვინც კვალიფიკაციაში 24-ე ნომრად არის განთესილი, ჩინელ იან ჩონგ ჩენსა და ბრიტანელ კეტი ობრაიენს შორის გამარჯვებულს შეხვდება. თუ მეორე მეტოქესაც დაამარცხებს, მერე ჩახნაშვილს ძირითად ბადეში მოსახვედრი გადამწყვეტი მატჩი ექნება და მისი მოწინააღმდეგე ან ჩეხი კლარა ზაკოპალოვა იქნება, ან არგენტინელი მარია ემილია სალერნი, ან ფრანგი ვირჟინი რეზე და ანაც, კიდევ ერთი ჩეხი ბარბორა ზაჰლავოვა-სტრისოვა.

# ტანო, შავტანო...

## ვინუსი მელბურნში არ ითამაშებს



ბოლო ხანს ვინუს უილიამსი პოდიუმზე უფრო ხშირად ჩანს, ვიდრე კორტებზე

**იზრდება** იმ ჩოგბურთელთა სია, რომლებიც წლის პირველ სლემტურნირს გამოტოვებენ და მათიც, ვისი თამაშიც საეჭვოა — ამ ისედაც მეტად სოლიდურ და წარმომადგენლობით შემადგენლობას გუშინ ახალი ვარსკვლავები დაემატნენ.

მელბურნში ვერ ითამაშებს ტურნირის 2003 წლის გამარჯვებული ვინუს უილიამსი. 26 წლის ამერიკელს მაჯის ტრავმა აწუხებს, რის გამოც ზედიზედ მეორე სლემტურნირის გამოტოვება უწევს — შეგახსენებთ, რომ უფროსმა უილიამსმა ვერც აშშ-ს ღია პირველობაზე შეძლო თამაში.

ისე, ვინუსი ტრავმებმა ძალიან გააწამეს — 2003 წლის შემდეგ სრულფასოვანი სეზონი ვერაფრით ჩაატარა, უკანასკნელ პერიოდში კი სულ უფრო იშვიათად ჩნდებოდა კორტზე. სწორედ ამის გამო შარშან, 1997 წლიდან პირველად, ამერიკელმა სეზონი ტიტულმოუგებლად დაასრულა.

იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ვინუსი კორტს გარეთ საკმაოდ აქტიურად საქმიანობს და თავისი ბიზნესიც აქვს, სულაც არ უნდა გაგვიკვირდეს ჭორები იმის თაობაზე, რომ უფროსი უილიამსი საერთოდ ჩოგბურთიდან წასვლას აპირებს. მით უმეტეს, რომ ცხოვრება არ გაუჭირდება — ჩოგნის ქნევით ხომ მას 16 მილიონი აქვს ნაშოვნი.

რაფაელ ნადალის მელბურნში თამაში რომ ეჭვქვეშაა, უკვე ვთქვით. გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ ესპანელის მდგომარეობაში კიდევ ორი ბობოლა — ნიკოლაი დავიდენკო და დავიდ ნალბანდიანი აღმოჩნდა.

დავიდენკომ სიდნეიში პოლ-ანრი მატიოსთან შეხვედრა ვერ ჩაამთავრა და ფრანგი მეოთხედფინალში გაატარა. მაშინ ბევრმა იფიქრა, რომ რუსი ნადალივით მოიქცა, უბრალოდ, თავი დაიზღვია და ტრავმის გამიზეზებას მოერიდა. თუმც კოლიას საქმე გაცილებით უარესად ყოფილა:

„არ ვიცი რა ხდება, მაგრამ ექიმმა გამაფრთხილა, რომ შეიძლება, ტერფი მოტეხილი მქონდეს. დამატებითი გამოკვლევების ჩატარება დამჭირდება და დიაგნოზი თუ დადასტურდა, მელბურნში თამაში კი არა, ექსკვირიანი მკურნალობა მომიწევს“.

არც ნალბანდიანის საქმეა კარგად, რადგან არგენტინელს მუხლის ქრონიკულმა ტრავმამ შეახსენა თავი და ამიტომაც მარატ საფინს ვერაფერი მოუხერხა, თუმც პატაგონიელმა, წესით და რიგით, მაინც უნდა მოასწროს ორშაბათამდე ფეხზე დადგომა.

**ბაჩა ლომაშვილი**

# ჯიმის ენდისგან

**ისინი,** ვინც ტრავმებს გადაურჩნენ, წლის პირველი სლეტურნირისთვის მზადებას აგრძელებენ.

ჩვენ მელბურნში მიმდინარე საჩვენებელი ტურნირით დავიწყოთ, რომელიც Kooyong Classic-ის სახელითაა ცნობილი. საჩვენებელი კი ჰქვია, მაგრამ აქ ყოველთვის ძალიან სოლიდური შემადგენლობა იკრიბება და გამონაკლისი არც წლეულს მომხდარა.

სეზონში პირველი შეხვედრა ჩაატარა როჯერ ფედერერმა და უნდა ითქვას, რომ არცთუ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. „მხიარული როჯერი“ ორსაათნახევარი და სამი ტაიბრეიკი ეჭიდავა რადეკ შტეპანეკს, მაგრამ მაინც იმარჯვა. ერთი თამაშიდან დასკვნის გამოტანა ძალიან ძნელია, მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ დიადი ალპელი სასურველი ფორმიდან საკმაოდ შორსაა. თუმც ნამატჩევს თვითონ ფედერერი შტეპანეკს გაწეული ბრძოლისთვის დიდად ემადლიერებოდა:

„ახლა ზუსტად ასეთი რთული და დაძაბული შეხვედრის ჩატარება მჭირდებოდა. წაგებას ან მოგებას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა — ამ ერთი მატჩით სხვები ჩემი სათამაშო ფორმის შესახებ ბევრს ვერაფერს შეიტყობდნენ, მე კი საკუთარი თავის შემოწმების საშუალება მომეცა და ახლა ვიცი, რა კომპონენტებზე მომიწევს მუშაობა“.



ენდი როდიკი

AFP მელბურნიდან

სამაგიეროდ, არაფერს უჩივის ენდი როდიკი, რომელსაც არც მწვრთნელ ჯიმი კონორსის (დედა გარდაეცვალა) გვერდზე არყოფნა აღელვებს. იანკი-ბოიმ ორ სეტში იოლად გადაურა ტომი ჰაასს და ნამატჩევს ომახიანად განაცხადა, ავსტრალიაში გამარჯვებას კონორსის საპატივცემულოდ შევეცდებიო.

ფედერერზე უარესად ითამაშა ჟუსტინ ენინ-არდენის არყოფნაში ავსტრალიის ღია ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტად მიჩნეულმა ამელი მორესმომ. სიდნეიში მიმდინარე ტურნირზე ელენა იანკოვიჩმა ავსტრალიის ღია ჩემპიონატის შარშანდელ ტრიუმფატორს ძალიან დამაჯერებლად მოუგო — ეს განსაკუთრებით მეორე სეტზე ითქმის, როდესაც სერბმა გეიმიც კი არ მოაგებინა გოროზ ფრანგს. თუმც მორესმოს ცუდ ფორმაზე საუბარი მაინც უაზრობა იქნება, რადგანაც შარშანაც ასე იყო — ამელიმ საზიზღრად დაიწყო, მაგრამ შემდეგ სლემტურნირზე მისი გამჩერებელი არავინ გამოჩნდა.

ვინუსი არ იქნება, მაგრამ მელბურნში ერთი უილიამსი მაინც ითამაშებს — სერენას საკამოდ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ იღბლიანი დაბრუნება გამოუვიდა და ჰობარტში ლუსი შაფაროვა წვალებით, მაგრამ მაინც დაამარცხა.

**ბაჩა ლომაშვილი**



# ლადო ჩიხლაძემ გერმანელები ბადეში გაახვია

## ქართული სამაია არ გამოვიდა

**ქართული** კაცთა ჩოგბურთის მეორე ნომერმა ლადო ჩიხლაძემ გერმანიის ქალაქ ნუსლოხის ჭერქვეშა ხალიჩაზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 15-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში გააღწია.

საკვალიფიკაციო ეტაპზე ლადომ მიყოლებით ორი მასპინძელი დაჯაბნა — 19 წლის პატრიკ ტაუბერტს 6:0 7:5 სძლია, ხოლო 20 წლისა და ATP-ის კლასიფიკაციაში 731-ე ადგილზე მყოფ საშა კლოერს 6:2 6:3 გაუსწორადა.

ძირითად ტურნირში ჩიხლაძის პირველი მეტოქე მე-8 ნომრად განთესილი, ასევე 20 წლის რუმინელი ფლორინ მერგეა იქნება, ვისაც რეიტინგში 391-ე პოზიცია უჭირავს. თუ ამ რუმინელს აჯობებს, მერე ჩვენებური ორი გერმანელიდან ერთერთს შეხვდება — ან იოხან შუტლერს, ანაც გერო კრეტჩმერს.

ჩიხლაძისგან განსხვავებით, ამერიკაში, ფლორიდის შტატის ქალაქ ტამპაში მიმდინარე 25-ათასიანი შეჯიბრის ძირითად ბადეში ვერ გააღწია ქართველ ქალთა მეორე ნომერმა ანა ტატიშვილმა. ნორჩმა ანამ საკვალიფიკაციო ეტაპზე მიყოლებით ორ ამერიკელს — კრისტინა მაკჰეილსა და ჯოდი კენიორს კი აჯობა, მაგრამ მესამე და გადამწყვეტ შეხვედრაში 6:7 3:6 წააგო თავის თანატოლთან, რუმინელ სორანა-მიხაელა კირსტეასთან, ვინც ქალთა მიმდინარე კლასიფიკაციაში ტატიშვილზე 52 საფეხურით დაბლა, 352-ე ადგილზე იმყოფება.

ტატიშვილამდე, საკვალიფიკაციო ეტაპის პირველივე წრეში კიდევ ორი ჩვენებური — სოფო მელიქიშვილი და სალომე დევიძე დამარცხდა.

# დაპატიჟებული ხარ!

**ავსტრალიის** ღია ჩემპიონატის ორგანიზატორებმა იმ ჩოგბურთელთა ვინაობა დაასახელეს, რომელთაც ეგრეთ წოდებული „Wild Card“ ერგოთ — ეს თავისებური მოსაწვევებია, რომლებსაც ტურნირის ორგანიზატორები სურვილისამებრ არიგებენ და ჩოგბურთელებს კვალიფიკაციის არიდების საშუალებას აძლევენ.

ასეთი იღბლიანები კაცებს შორის რობერტ სმიტსი, ალან ჯოუნსი, კრის გუჩიონე, უეინ არტურსი, პეტერ ლუჟაკი (ყველა ავსტრალია), სემ ქუერეი (აშშ), გო სოედა (იაპონია), ჟო-ვილფრიდ ტსონგა (საფრანგეთი) აღმოჩნდნენ.

ქალთაგან კი ამდაგვარი პატივი ალისია მოლიკს, კეისი დელაკუას, სოფი ფერგიუსონს, მონიკ ადამჩაკს, ჯესიკა მურს (ყველა ავსტრალია), მედისონ ბრენგლს (აშშ), იროდა ტულიაგანოვას (უზბეკეთი) და იულია ფედოსოვას (საფრანგეთი) ერგოთ.

**ბაჩა ლომაშვილი**

# ქართველის ბალტიური ვარსკვლავი

## ცინცაძისთვის რუსეთთან ესტონეთი სამშობლოა



**ბალტიის ლიგის ოლ სტარი 3 თებერვალს გაიმართება, საამატჩო შემადგენლობა კი დღეს საღამოს გაცხადდება. მიუხედავად იმისა, რომ საინტერნეტო გამოკითხვა ჯერ არ დასრულებულა, უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ესტონური „როკის" გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე ყველა ვარსკვლავის მატჩში ითამაშებს. ჯერჯერობით ის მე-3 ადგილზეა გამოკითხვაში, ხოლო ოლ სტარისთვის ხუთეულში მოხვედრაც საკმარისია. ცინცაძეს საოლსტარო ამბების გასაგებად ესტონეთში შევეხმიანეთ, თუმც გუშინვე მის ინტერვიუს წავაწყდით ბალტიის ლიგის ვებ-გვერდზე და ჯერ მას შემოგთავაზებთ...**

**— შენი სტატისტიკა ამ სეზონში შთამბეჭდავია. ამას დიდ ყურადღებას აქცევ?**

— არცთუ დიდს. ვიცი, რომ ბევრია ისეთი მოთამაშე, რომლებიც გაფაციცებით აკვირდებიან საკუთარ სტატისტიკას და მის გაზრდა-გაუმჯობესებას ცდილობენ. მე სხვანაირად ვფიქრობ. რა თქმა უნდა, ვიცი ჩემი შედეგიანობის მაჩვენებლები, მაგრამ ამას არანაირი ზეგავლენა არა აქვს კონკრეტულ მატჩში ჩემს თამაშზე.

**— როგორ მოხვდი ესტონეთში?**

— აქამდე მოსკოვის „დინამოსთან" მქონდა კონტრაქტი, მაგრამ გადავწყვიტე, ეს გუნდი დამეტოვებინა. სწორედ ამ დროს შემომთავაზეს კონტრაქტი ესტონელებმა და მეც ბევრი არ მიფიქრია. უკვე კარგა ხანია, აქ ვარ და სულაც არ ვნანობ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ არაერთი შემოთავაზება მქონდა და „როკში" ყოფნით კმაყოფილი ვარ.

**— რას ფიქრობ, მაღალი დონეა ბალტიის ლიგაში?**

— ეს მართლაც კარგი და ძლიერი ლიგაა. დონეც მაღალია, თითქმის ყოველ მეორე მატჩში უძლიერეს გუნდებს ვეთამაშებით. „როკში" გადმოსვლა რომ გადავწყვიტე, ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც ეს იყო, ბალტიის ლიგაში რომ თამაშობს.

**— სამწუხაროდ, „როკს" ბალტიის ლიგაში კარგად არ მისდის საქმეები..**

— ეს განწყობის ბრალია. თუ კარგ საბრძოლო განწყობაზე ვართ, ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეგვიძლია, ანდაც პირიქით. ჩვენ ძალიან ძლიერი მოთამაშეები გვყავს: გერტ კულამდე, მარტინ მიიურსეპი, ტანელ ტეინი და სხვები. ყველა მატჩი რომ სრული მობილიზებით ვითამაშოთ, წარმატებას იოლად მივაღწევთ.

**— „როკი" ცნობილია თავისი მხურვალე გულშემატკივრებით...**

— თავიდან ძალიან გაოცებული ვიყავი, ნამდვილად არ მეგონა, თუ ასეთი პატარა ქალაქის გუნდს ამდენი ქომაგი ეყოლებოდა. მათი რიცხვი ნამდვილად არ ჩამოუვარდება მოსკოვის „დინამოსა" და ცსკა-ს ფანთა რაოდენობას. „როკის" თამაშებზე დარბაზი ყოველთვის სავსეა და გულშემატკივრები სხვა ქალაქებშიც დაგვყებიან.

**— ესტონეთი რამდენად მოგწონს?**

— სამი წელი ვიყავი რუსეთში და აქ რომ ჩამოვედი, ასე მეგონა, სამშობლოში დავბრუნდი. ესტონეთში ძალიან გულთბილი ხალხია.

**— „როკი" ვერ მოხვდა ბალტიის ლიგის პირველ დივიზიონში და ახლა რა არის თქვენი მიზანი?..**

— როგორც ვიცი, მეორე დივიზიონის საუკეთესო 2 გუნდსაც აქვს ჩემპიონობისთვის ბრძოლის გაგრძელების შანსი და ჩვენი მიზანიც ახლა ოთხთა ფინალში მოხვედრაა.

**— რამდენად შეეწყვე „როკის" მწვრთნელ ალგირდას ბრაზისს?**

— ის ძალიან საინტერესო პიროვნებაა, კარგად იცის ყველა მოთამაშის შესაძლებლობა და ყოველთვის სამართლიანად გვექცევა. მასთან მუშაობით ძალიან კმაყოფილი ვარ.

**— შენ ოლ სტარის ერთ-ერთი კანდიდატი ხარ. როგორ შეაფასებდი საკუთარ შანსებს?**

— ძალიან მინდა ოლ სტარში თამაში, მაგრამ ვფიქრობ, რომ ცოტა შანსები მაქვს.

**— შენს კარიერაში იყო პერიოდი, მოსკოვის ცსკა-ში რომ თამაშობდი. რა გავლენა იქონია ამან შენს განვითარებაზე?**

— მთავარი ისაა, რომ გამოცდილება შევიძინე. ცსკა-ში მთლად დალხენილად არ ვიყავი. იყო ცუდი და კარგი მომენტები. კარგა ხანს დუშკო ივანოვიჩი მწვრთნიდა, რომლისგანაც ბევრი რამ ვისწავლე. დავბრუნდები თუ არა რუსეთში სათამაშოდ? სურვილი არ მაქვს, მაგრამ თუ მაინც მომიწევს, მხოლოდ იმ გუნდში, სადაც მწვრთნელი უცხოელი იქნება.

**— ესტონეთში რამდენ ხანს აპირებ დარჩენას?**

— ვერ გეტყვით. „როკთან" ერთწლიანი კონტრაქტი მაქვს და მომავალზე ამ გუნდის ხელმძღვანელები ჯერჯერობით არ მელაპარაკებიან. თუ რამეს შემომთავაზებენ, დავფიქრდები. ისე, სხვა კლუბებიდან ჯერჯერობით არ მეხმიანებიან.

**— მხოლოდ 20 წლის ხარ და ალბათ საკათბურთო ნატვრაც ჯერ არ აგიხდენია...**

— ჩემი ოცნება ნბა-ში თამაშია. მანამდე კი ესპანეთშიც მინდა ძალების მოსინჯვა.

*ეს ინტერვიუ ცინცაძეს ახალ წლამდე ჩამოართვეს, როცა მისი საოლსტარო შანსები მართლაც მცირე იყო და ეს თავად ვიორვიმაც აღნიშნა. ახლა კი...*

— თითქმის გადაწყვეტილია, რომ ოლ სტარში ვითამაშებ. ალბათ ტრავმა თუ შემიშლის ხელს, თორემ გამოკითხვის შედეგებით ყველაფერი ცნობილია — გვითხრა ცინცაძემ გუშინ.

**— რა პრინციპით ირჩევა კანდიდატები?**

— ცენტრებს, ფორვარდ-ფრთებს და პირველ-მეორე ნომრებს ცალ-ცალკე ირჩევენ. მე გამოკითხვაში მესამე ადგილზე ვარ. პირველ-მეორეზე გასულები ხუთეულში ითამაშებენ გამთამაშებლისა და მსროლელის პოზიციებზე. მესამე, მეოთხე და მეხუთეზე გასულები კი ამათი შემცვლელები იქნებიან. ანუ მე გამოკითხვაში ხუთეულში ვერ უნდა მოვხვდე, რომ ოლ სტარის მიღმა დავრჩე. გამოკითხვა ხვალ წყდება და ამის შანსი თითქმის არ არსებობს.

**— ოლ სტარში მეტოქეები რა პრინციპით გაიყო.**

— ლიტვა, ლატვია და ესტონეთი დანარჩენი მსოფლიოს წინააღმდეგ. მე, რა თქმა უნდა, ლეგიონერებში ვარ. ხვალამდე ევებ ორიუელშიც შევძვრე და სასტარტო ხუთეულში დავიწყო ყველა ვარსკვლავის მატჩში თამაში.

**ირაკლი პერტაია**

# სიენა სიკვდილს გაექცა

## ულების თასი 2006-07

### ჯგუფური ეტაპი. IX ტური. 9 იანვარი

**A ჯგუფი**

ჰემოფარმი 76:64 ბამბერგი
აეკ 76:85 ნანსი
კანარია 72:67 ლიეტუვოს რიტასი

*ნანსი 15, რიტასი 15, ჰემოფარმი 15, კანარია 14, ბამბერგი 11, აეკ 11*

**B ჯგუფი**

ანვილი 74:62 ბეშიქთაში
სნაიდერო 91:93 ვენტსპილსი
სტრასბური 71:78 FMP

*FMP 16, ვენტსპილსი 15, სნაიდერო 14, სტრასბური 13, ანვილი 12, ბეშიქთაში 11*

**C ჯგუფი**

ალბა 90:83 ხიმკი
ოსტენდე 82:66 ჰაპოელი
აკადემიკი 76:81 სიენა
სიენა: ბოისა (13 წუთი, 2 ქულა, 1 პასი)

*სიენა 16, ჰაპოელი 13, ხიმკი 13, ალბა 13, აკადემიკი 13, ოსტენდე 13*

**D ჯგუფი**

რეალი 77:61 უნიქსი
ცრვენა ზვეზდა 96:69 მონსი
პაოკ 90:88 ეიფელ თაუერსი

*რეალი 15, უნიქსი 15, ცრვენა ზვეზდა 15, პაოკ 15, ეიფელ თაუერსი 11, მონსი 10*

**სიკვდილის** ჯგუფში მოხვედრილა ვლადიმერ ბოისას „სიენა", ოღონდ ეს სიკვდილიანობა მას არ შეხებია. ულებ-ის თასის C ჯგუფში სიენელებმა ჯერ კიდევ წინა ტურში გაინაღდეს პირველობა, თუმც მათ კვალში ჩამდგარმა გუნდებმა ერთმანეთს ომი აუტეხეს, მტერს და ავს...

გუშინწინდელი ტურის შემდეგ C ჯგუფში სასწაული ვითარება შეიქმნა. „სიენა" 9 თამაშიდან 7 გამარჯვებით პირველზეა, ხოლო მეორე ადგილს ერთბაშად 5 გუნდი იყოფს. „ჰაპოელს", „ხიმკის", „ოსტენდეს", „ალბას" და „აკადემიკს" — ანუ „სიენას" გარდა C ჯგუფის ყველა სხვა ბინადარს თანაბარი ქულა აქვს და ბოლო ტურში უნდა გადაწყდეს, ამათგან რომელი სამი მოახერხებს იტალიურ კლუბთან ერთად მომდევნო ეტაპზე გასვლას.

სიენელები ჯგუფიდან გასულები კი იყვნენ, მაგრამ სოფიაში ქედი არ მოუხარეს „აკადემიკოსებს". ბულგარულ კლუბს გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდა და იგებდა კიდეც 5 ქულას გადამწყვეტი მეოთხედის წინ, მაგრამ... ბოლო ათწუთეულში სიენელებმა მძლავრად შეუტიეს მასპინძლებს და მათი ყველაზე დიდი საამმატჩო უპირატესობაც დაფიქსირდა — 75:69 სირენამდე 3 წუთით ადრე.

ბულგარელებს შანსი რისტე სტეფანოვმა გაუცოცხლა, რომელმაც სამქულიანიც ჩააგდო და სროლისას მეტოქე აიძულა, დაჯარიმებულიყო. სტეფანოვმა საჯარიმოც მიითვალა და „აკადემიკი" „სიენას" 73:75 მიაახლოვა. მალე ბულგარელებმა სხვაობა მინიმუმამდეც შეამცირეს, მაგრამ იოზეფ ფორტემ წუთიერი გაბრწყინებით




იტალიელებს გამარჯვება დაუბევა.

სამწუხაროდ, ბოისას თავი დიდად არ გამოუჩენია — 13 წუთი ითამაშა და 2 ქულასთან ერთად ერთი შედეგიანი გადაცემაც მიითვალა.

ერთი კვირის შემდეგ, „ოსტენდესთან" მატჩით „სიენა" ჯგუფურ ეტაპს დაასრულებს და პლეი ოფის კენჭისყრას დაელოდება.

**ირაკლი პერტაია**

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# კალიფორნიელი ოქელაშვილები

## ლეიკერსი პირველს უგებს და ბოლოსთან აგებს



დირკ ნოვიცკიმ იუტელებს ჯაზი მოუწყო

9 იანვარი

**ინდიანა 91:72 ატლანტა**
**ინდიანა:** ტინსლი (2), ჯეკსონი (12), ჰარინგტონი (18), ონილი (10), ფოსტერი (8 ქულა, 17 მოხსნა); გრეინჯერი (15 ქულა, 10 მოხსნა), იასიკევიჩიუსი (8), უილიამსი (8), ბასტონი (4), არმსტრონგი (4), დანიელსი (2), გრინი (2)
**ატლანტა:** კლაქსტონი (12), ჯონსონი (10), მ. უილიამსი (6), შ. უილიამსი (4), ფაჩულია (22 წუთი, 9 ქულა, 7 მოხსნა); ჩილდერსი (7), ტომპსონი (7), ჯონსი (7), აივი (5), რაიტი (3), სტუდემაიერი (2), ლუ

**მემფისი 128:118 ლეიკერსი**
**მემფისი:** გასოლი (25 ქულა, 13 მოხსნა), მილერი (25), სტუდემაიერი (16)
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (25), ევანსი (21), ვუიაჩიჩი (18)

**იუტა 105:108 დალასი**
**იუტა:** ბუზერი (29), ჰარპრინგი (14), ოქური (14)
**დალასი:** ნოვიცკი (38), ჰოვარდი (21), ტერი (18)

**ფინიქსი 113:102 სიეტლი**
**ფინიქსი:** მერიონი (29 ქულა, 15 მოხსნა), ნეში (27 ქულა, 11 პასი)
**სიეტლი:** კოლისონი (29 ქულა, 21 მოხსნა), ალენი (25)

**საკრამენტო 98:108 კლივლენდი**
**საკრამენტო:** ბიბი (26), მილერი (24), მარტინი (23 ქულა, 11 მოხსნა)
**კლივლენდი:** ჯეიმსი (34), გუდენი (21 ქულა, 11 მოხსნა), ილგაუსკასი (17)

**ფილადელფია 89:98 დეტროიტი**
**ფილადელფია:** გრინი (16); დალემბერტი (14 ქულა, 10 მოხსნა)
**დეტროიტი:** პრინსი (33), ჰამილტონი (22)

**ნიუ ჯერსი 101:86 ტორონტო**
**ნიუ ჯერსი:** კარტერი (32), ჯეფერსონი (21), კიდი (10 ქულა, 14 პასი, 8 მოხსნა)
**ტორონტო:** ბარნანი (22), კალდერონი (16 ქულა, 12 პასი)

**სან ანტონიო 98:84 პორტლენდი**
**სან ანტონიო:** დანკანი (16), ჯინობილი (14), პარკერი (14)
**პორტლენდი:** რენდოლფი (25), ოლდრიჯი (17)

„ატლანტა ჰოქსმა" საკუთარი ქომაგები წაგებებს კი მიაჩვია, მაგრამ მეტწილად ბრძოლაში მარცხდებოდა, „ინდიანა პეისერზთან" კი მთლად უიმედოდ დათმო თამაში. მწირქულიან და შეუხედავ შეხვედრაში „ატლანტა" პირველ ტაიმში უფრო რიგიან შთაბეჭდილებას ტოვებდა, დიდ შესვენებაზე მხოლოდ 5-ქულიანი ჩამორჩენით გავიდა. მესამე მეოთხედის დასაწყისში ზაზა ფაჩულიამ საშუალო მანძილიდან ჩაგდებული ორქულიანით 3 ქულამდე მიაახლოვა თავისი გუნდი მასპინძლებს, მაგრამ შემდეგ ინდიანელთა ჯერი დადგა, რომელთაც რამდენიმეწუთიანი ნაწყვეტი 14:5 მოიგეს და 52:40 დაწინაურების შემდეგ აზლოსაც არ მიიკარეს „ატლანტა". მასპინძლებს ყოფილმა ატლანტელმა ალ ჰარინგტონმა ულიდერა, რომელმაც მესამე 12-წუთეულში 14 ქულა მოიხვეჭა, რაც სავსებით ეყო იმისთვის, რომ ნამატჩევს კმაყოფილებით გაჟღენთილი კომენტარი გაეკეთებინა: „როდესაც გუნდი გიშვებს, უდიდესი სურვილი გიჩნდება, მას ყოველი თამაში მოუგო და მე ეს წყურვილი სავსებით დავიკმაყოფილე."

„ბურთი ვერ ჩავაგდეთ — ეს კი უკვე ჰარინგტონის ყოფილი მწვრთნელის, „ატლანტას" თავკაც მაიკ ვუდსონის სიტყვებია — უიოლესი ტყორცნები ავაცილეთ და, საერთოდ, ძალიან ინერტულად გამოვიყურებოდით, დღეს საკუთარ თავს ჩვენვე ვუმტყუნეთ."

„ატლანტამ" „ინდიანასთან" წლეულს უკვე მეორედ წააგო, საზოგადოდ კი, მე-18 გასვლით მატჩში მე-13 მარცხი იწვნია.

ნებისმიერი გუნდისთვის სტუმრად თამაში უფრო ძნელია, ვიდრე შინ, მაგრამ, ვთქვათ „დალასისთანა" ყოჩაღი გუნდი არც მეტოქის მოედანზე გრძნობს თავს დაჩაგრულად და უმწეოდ. სადღეისოდ ასოციაციის ყველაზე წარმატებულმა კლუბმა საკმაოდ ძნელი თამაში მოიგო სოლტ ლეიკ სიტიში იქაურ „იუტა ჯაზთან". თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ მოწინააღმდეგეებმა ბრჭყალები მესამე ტაიმიდან გახსნეს, რომელიც „იუტამ" 29:19 მოიგო და 8 ქულით დაწინაურდა. იქვე, მესამე პერიოდში უხეში ჯარიმისთვის მსაჯებმა „დალასს" ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ჯერი სტეკჰაუზი გაუგდეს., მაგრამ მეოთხე მეოთხედი მაინც უფრო დაძაბული გამოდგა. „დალასი" საკუთარი მხრებით ათრია გერმანელმა გოლიათმა დირკ ნოვიცკიმ, რომელმათ თავისი 38 ქულიდან 25 მეორე ტაიმში მოინაგრა და ამასთან, მატჩის დამთავრებამდე 10 წამით ადრე, წყვილი საჯარიმოთი 3-ქულიანი უპირატესობა მოუტანა „დალასს", რაც აღმოჩნდა კიდეც გადამწყვეტი.

აფსუს, „დალასს" ორი დღით ადრე „ლეიკერსთან" რომ არ წაეგო, ეს გამარჯვება ზედიზედ მე-15 იქნებოდა მისთვის და ამ სეზონის რეკორდს გაიმეორებდა, რომელიც „ფინიქსს" ეკუთვნის. „დალასს" ტრადიციულად არ გამოსდის „ლეიკერსთან" თამაში, ერთთავად აგებს, თან ისე, რომ ბოლოს შერცხვენილი გამოდის. წინა სეზონში იყო, „ლეიკერსის" ლიდერმა კობი ბრაიანტმა მძლავრი ტეხასური გუნდი ბაშვივით რომ დაჩაგრა. ერთ თამაშში 61 ქულა ჩაუგდო (ისე, რომ ბოლო მეოთხედში სულ არ გასულა მოედანზე), მეორეში კი სულაც 829 ქულა დაატეხა თავს.

მოკლედ, ასეა თუ ისე, „დალასმა" „ლეიკერსთან" წააგო და „ფინიქსის" რეკორდს ველარ შეწვდა. თავად „ფინიქსი" მორიგ ძლევამოსილ სვლას აწყობს — „სიეტლი" დასცა და ზედიზედ მეშვიდე გამარჯვება მიითვალა.

აი, „ლეიკერსი" კი... ფილ ჯექსონის შეგირდებმა ლიგის პირველ გუნდს იმიტომ მოუგეს, რომ შემდეგ უკანასკნელთან წაეგოთ?! „მემფისმა" მესამე მეოთხედში პირდაპირ მიწასთან გაასწორა კობი ბრაიანტი და მისი რაზმი, ამ პერიოდში 46:22 გაანადგურა და ბოლო ექვს თამაშში მესამე მოგებით გამოიკეთა ნოემბრის აქეთ წახდენილი გუნება.

**კოტე ყორშია**



27-28 იანვარს ჩასატარებელ თბილისის მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრები 28 ძიუდოისტით გამოვა. მძიმე სეზონის გამხსნელ ტურნირში შოთა ხაბარელის გუნდის ყველა წევრი და კანდიდატი იჭიდავებს, ტრავმირებული დავით ქევხიშვილის გარდა. 73 კილოგრამი წონითი კატეგორიის ლიდერი შარშან სექტემბერში დაშავდა და მას შემდეგ ტატამზე აღარ გასულა. ქევხა ნაოპერაციევ მუხლს ჯერაც იშუშებს, კიმონოს კი, სავარაუდოდ, გაზაფხულიდან მოირგებს. ინტერვიუ გუშინ საღამოს ჩავწერეთ, მას შემდეგ, რაც მხუბუქად ნაივარჯიშა

# ქევხას ტატამი გაზაფხულზე გაიშლება



— თბილისის ტურნირამდე გამოჯანმრთელება რომ გამიჭირდებოდა, ამის შესახებ ერთი თვის წინაც ვიცოდი. მსოფლიოს თასამდე ორი კვირა რჩება და ამ პერიოდში ფორმაში ჩადგომას ვერაფრით მოვასწრებ.

— **სრული დატვირთვით უკვე ვარჯიშობ?**

— ჯერ მხოლოდ ინდივიდუალურად ვემზადები. ძირითადად ტრენაჟორებზე ვვარჯიშობ და დავრბივარ. ტკივილი აღარ მაწუხებს, მაგრამ მუხლს დიდ ძალას მაინც არ ვატან. დატვირთვებსაც ნელ-ნელა ვუმატებ. ნორმალურ სავარჯიშო რიტმს დაახლოებით ერთ თვეში დავუბრუნდები.

— **პირველ საერთაშორისო ტურნირს როდისღა იჭიდავებ?**

— ალბათ მარტში, პოლონეთში.

— **აპრილში კი ევროპის ჩემპიონატია...**

— იმედია, პოლონური ტურნირის შემდეგ ისეთ ფორმაში ვიქნები, ევროპაზე ჭიდაობასაც მოვახერხებ. მნიშვნელოვანი შეჯიბრები აპრილის მერეც ბლომადაა, გაზაფხულის ბოლოდან ხომ პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ქულების დარიგება იწყება.

— **დეკემბერში საქართველოს ჩემპიონატს ტრიბუნიდან უყურებდი. ვინმე ახალი ანგარიშგასაწევი კონკურენტი ხომ არ შენიშნე?**

— ჩემპიონ-პრიზიორებს იქამდეც ვიცნობდი. ძალიან კარგი ძიუდოისტები არიან და ძლიერი შიდა კონკურენცია თითოეულ ჩვენთაგანს სასიკეთოდ წაადგება.

— **ბოლოს ტრავმიანობის პერიოდში შენს მიერ გადადგმულ ახალ სპორტულ ნაბიჯებზეც გვითხარი. არცთუ დიდი ხნის წინ მოქმედმა სპორტსმენებმა ათლეტთა კომისია ჩამოაყალიბეთ...**

— ეს მართლაც უმნიშვნელოვანესი საკითხია. იდეა ოლიმპიური კომიტეტიდან წამოვიდა. შეიქმნა კომისია, რომელიც ათი მოქმედი სპორტსმენით დაკომპლექტდა. სპორტისა და სპორტსმენების პრობლემები კარგად ვიცით და მათ მოსაგვარებლად მუშაობას ვაპირებთ. კარგი იქნება, უფრო აქტიურად შეგვეძლოს მოქმედება, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ხერხდება. ჯერ მხოლოდ ერთხელ შევიკრიბეთ და ძირითადი პრიორიტეტებიც დავსახეთ.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# მსუბუქი გაგრძელება

## კოკაიმ ამას არ აამა

**ოთხი** ტურის შემდეგ იანვრის ბაშოზე წაუგებელი ორი სეკიტორილაა. ლიდერთა ოთხეული გუშინ განახევრდა და ამაში ლომის წილი ქართველ კოკაისაც მიუძღვის. ლევან ცაგურიამ უმაღლესი დივიზიონის უმსუბუქეს დევს, 124-კილოგრამიან ამას შეუწყვიტა სამდღიანი იდილია, ლიდერთა მდევარ ჯგუფში გადაუძახა, თავად კი უარყოფითი ბალანსი მეორედ გააბათილა. „შავმა ზღვამ" შეხვედრის ბედი პირველსავე წამებზე უმძლავრესი შეტევით გადაწყვიტა.

ამას ბედი ეწია მასავით ლიდერ ტამანოსიმასაც. ხოლო რიგითმა მაეგაშირებმა ტამაკასუგამ და ტოინოსიმამ იმპერატორის თასისკენ მიმავალ გზაზე მეოთხე ნაბიჯი გადადგეს. პირველს მეტოქედ ძუმონძი ჰყავდა და სასწაულებრივ გადაურჩა წაგებას. 35 წლის ტამაკასუგამ ლამის უიმედო მდგომარეობიდან მოახერხა თავის დაძვრენა და მომგებიანი კონტრ-ილეთით იმარჯვა. „პატარა გოლიათად" მონათლულმა 168-სანტიმეტრიანმა ტოინოსიმამ კი მონღოლი კაკურიუ დასცა.

მესამე ტურში განცდილი მარცხის შემდეგ კვლავ ჩვეულ სტილში იჭიდავა იოკოძუნა ასასიორუმ. „ცისფერმა დრაკონმა" წინა დღის ჯავრი დასავლეთის მეორე მაეგაშირაზე, ამინისიკიზე იყარა. მოქმედ ჩემპიონს მომავალ ტურებში გამარჯვებების გარდა, წაუგებელ ლიდერთა წაფორხილებაზეც მოუწევს ფიქრი და თუ კოკუგიკან-ურ ბაშოზეც იჩემპიონა, კარიერაში იმპერატორის მეოცე თასს ასწევს.

მაღალწოდებებიანი სეკიტორებიდან ყველაზე წინ ვეტერანი ოძეკი კაიო დგას. ასასიორუს მსგავსად, მის ანგარიშზეც სამი ქულაა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

მძლეოსნობა


სტივ ჰუკერი


პოლ ბარჯესი

# წყვილი ჭოკი
## იქ, სადაც ზაფხულია და ცხელა

**2007 წელი** ჯერ ხეირიანად არც დამდგარა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის, ქართველებისთვის ასეა — ძველით ახალ წლამდე კიდევ დარჩა ორიოდე დღე და ამიტომაც ქართულ-ტრადიციული საახალწლო მარათონიც გრძელდება მთელი თავისი გოჭ-საცივიანი ატრიბუტებით. აი, ავსტრალიაში სხვანაირადაა — იქ, გამომდინარე მაინი პროტესტანტულ-ანგლიკანური, თუ კათოლიკური სარწმუნოებიდან, არც ორი ახალი წელი აქვთ და საერთოდაც, იმ მწვავე კონტინენტზე ახლა შუა, გაგანია ზაფხული და პაპანაქება სიცხეა.

მოკლედ, იქ ახლა სხვანაირი მარათონები და სხვა სამძლეოსნო ამბები დუღს. ერთ-ერთი ასეთი დუღილის წერტილი ქალაქ პერტში იყო და იქაურ მძლეოსნურ შეჯიბრზე ჭოკით მხტომელმა ოზმა ბიჭებმა სტივ ჰუკერმა და პოლ ბარჯესმა გვარიანი შედეგიც აჩვენეს — წყვილად გადაევლნენ 591 სანტიმეტრ სიმაღლეზე გადებულ თამასას.

ლეგენდარული უკრაინელის სერგეი ბუბკასა და მერე, ბუბკასთან შედარებით მომცრო რუსთათარი როდიონ გატაულინის ეპოქის შემდეგ ასეთ სიმაღლემდე ერთეულებიღა ადიან. თუნდაც შარშანდელი წელი ავიღოთ — 2006 წლის სეზონმა ისე ჩაიარა, რომ 591 სმ. სიმაღლე სამად-სამმა ჭოკოსანმა დაძლია და ამ სამიდან ორნი, სწორედ ნახსენები ავსტრალიელები იყვნენ.

შარშან რაც იყო, იყო და წლეულს სტივმა და პოლმა ისე დაიწყეს, რომ იქნებ მალე სუპერდიდოსტატური ექვსმეტრიანი მიჯნაც დაძლიონ. ისე, ამ ოზებმა პერტშივე შეუტიეს მთლად 606 სანტიმეტრ სიმაღლეს, თუმც ამაოდ. ისე, ისიც სათქმელია, რომ ამ სიმაღლეზე ჭოკით, ისტორიაში მხოლოდ დიადი ბუბკა გადამხტარა.

აქვე ბარემ ისიც ვთქვათ, რომ პერტში ავსტრალიელთა გარდა ერთი ცნობილი იტალიელიც ჭოკოსნობდა — 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონი და ათენის ოლიმპიადის ბრინჯაოსანი ჯუზეპე ჯიბილისკო, მაგრამ ამან თავი ვერაფრით გამოიჩინა — ოზბიჭებს მთელი 40 სანტიმეტრით ჩამორჩა და მესამე ადგილზე გავიდა.

**გია მუჯირი**

ცხენოსნობა

# გარდაიცვალა დიდი ამორძალი



**მოსკოვში** ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 67 წლისა გარდაიცვალა ელენა პეტუშკოვა. ეს ქალბატონი სახელგანთქმული სიმაღლეზე მხტომელის, ჩვენი რობერტ შავლაყაძის მეგობრისა და სპორტული მემკვიდრის, ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონისა და მსოფლიოს რეკორდსმენის ვალერი ბრუმელის ცოლი იყო, თუმცა ელენა პეტუშკოვას უბრო ათლეტის მეუღლეობით კი არა, საკუთარი მიღწევებით უფრო იცნობდნენ.

ელენა პეტუშკოვა ცხენის გაწვრთნაში იყო მსოფლიოს ჩემპიონი (1970), მთელ დედამიწაზე მესამე ქალი, რომელმაც მამაკაცებთან ბრძოლაში ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ეს მოხდა 1968 წელს მეხიკოში, ოთხი წლის მერე მან მსგავსი წარმატება მიუნხენში გაიმეორა, გუნდურში კი ოქროს მედალსაც დაეუფლა. იგი საბჭოთა ნაკრებში მთელ 24 წელიწადს გამოდიოდა და საერთაშორისო სარბიელზე კიდევ უამრავი პრიზი მოიპოვა, სსრ კავშირის ჩემპიონატებზე კი 13-ჯერ გაიმარჯვა.

აქტიური ცხენოსნობის შემდეგ პეტუშკოვა თვალსაჩინო სპორტული ფუნქციონერი იყო. 1983-დან 1991 წლამდე იგი სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ, 1995-დან 2004 წლამდე იყო ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ბიუროს წევრი, ხოლო 1978-1982 წლებში ამავე ფედერაციის კომიტეტის წევრი ცხენის გაწვრთნაში. 1996 წლიდან კი სიცოცხლის ბოლომდე ამ სახეობაში რუსეთის ფედერაციას მეთაურობდა.

ელენა პეტუშკოვა მხოლოდ ცხენებს და ცხენოსნობას არ გადაჰყოლია. მოსკოვის უნივერსიტეტდამთავრებულმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და იქვე ბიოქიმიის კათედრაზე უფროს მეცნიერმუშაკად მუშაობდა.

**ავთანდილ ტყვიშელი**

ჭადრაკი

# ელისტური ტუალეტის ჰოლანდიური გაგრძელება

**ხვალ, 12 იანვარს ჰოლანდიურ ვეიკ ან ზეეში 2007 წლის პირველი საჭადრაკო სუპერტურნირი დაიწყება და პირველივე ტურში ერთმანეთს ვლადიმირ კრამნიკი და ვესელინ ტოპალოვი დაეტაკებიან**

**მსოფლიოს** ჩემპიონი რუსისა და მის მიერ შარშან ელისტაში ძლეული ბულგარელის დაპირისპირებას, სადაც და რა დონეზეც არ უნდა იყოს, იმ, ელისტური საჩემპიონო მატჩის შემდეგ სულ სხვა ფასი და მნიშვნელობა აქვს — ყალმუხეთში რომ საჭადრაკო-სატუალეტო ომი იყო, იმ ომის ცეცხლი ჯერაც არ განელებულა, მით უმეტეს, რომ შიგადაშიგ მინავლებულ ნაკვერჩხალს, ხან რუსები უბერავდნენ სულს და უფრო ხშირად კი ბულგარელები ამატებდნენ შეშას — აქაოდა, კრამნიკი ელისტურ ტუალეტში ხშირ-ხშირად რომ შარდავდა, ჯერაც არ დაგვვიწყებია და მანამ ვერ მოვინელებთ, სანამ ჩემპიონის საკითხი უშუალოდ საჭადრაკო დაფასთან არ გაირკვევაო.

კრამნიკისა და ტოპალოვის რემატჩი ჯერაც უტოპიის სფეროს განეკუთვნება, მით უმეტეს, რომ რუსს არჩევანის უფლება აქვს — ფიდეს ახალი რეგლამენტით მსოფლიოს ჩემპიონის მატჩში გამოწვევა იმ ნებისმიერ მოჭადრაკეს შეუძლია, ვისი რეიტინგიც 2700-ს ალემატება. ასეთები კი მარტო ვეიკ ან ზეეში, კრამნიკის ჩათვლით, ცხრანი არიან, მაგრამ მთავარი და უპრინციპულესი პარტია მაინც პირველ ტურში იქნება — კრამნიკი ტოპალოვის წინააღმდეგ და იმის თქმა ნამდვილად შეგვიძლია, რომ ვეიკ ან ზეეში რუსს ცალკე ტუალეტი ნამდვილად არ ექნება და შესაბამისად, იმ ტუალეტში რაიმე საეჭვო აპარატურასაც ვერავინ დაამონტაჟებს.

ჭადრაკს დავუბრუნდეთ და მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ჩემპიონია, კრამნიკი თავისი 2766 სარეიტინგო ქულით მიმდინარე კლასიფიკაციაში ოდენ მესამეა. პირველზე კვლავაც ტოპალოვია, თუმცაღა მისმა რეიტინგმა სარეკორდო 2813-დან 2783 ქულამდე დაიწია. ამათ შორის 2779 ქულით ვეიკ ან ზეეს ტურნირის სარეკორდო, ხუთგზის გამარჯვებული ინდოელი ვიშვანათან ანანდია და ინდუსი არც მეექვსე ტიტულზე იტყვის უარს, მით უმეტეს, რომ საჩემპიონო ამბიციები მას ნამდვილად არ აკლია და არც რუსსა თუ ბულგარელზე ნაკლებ მოჭადრაკედ მიაჩნია თავი.

2700-იანებიდან ამ სამეულის გარდა, ჰოლანდიაში კიდევ ექვსი ითამაშებს: მსოფლიოს თასის მფლობელი და შარშანდელი ლინარესის სუპერტურნირის გამარჯვებული სომეხი ლევონ არონიანი (2744), შარშანდელი ლინარესის მეორეადგილოსანი და ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი, აზერბაიჯანელი ტეიმურ რაჯაბოვი (2729), რუსი პიოტრ სვიდლერი (2728), ფიდეს ვერსიით მსოფლიოს ექსჩემპიონი უკრაინელი რუსლან პონომარიოვი (2723), ჩეხი დავიდ ნავარა (2719) და ესპანელად წოდებული რიგელი რუსი ალექსეი შიროვი (2715).

ეს ცხრანი და კიდევ, ოდნავ დაბალრეიტინგიანი ხუთეული: ნორვეგიელი ვუნდერკინდი მაგნუს კარლსენი (2690), მასპინძელი ლოეკ ვან ველი (2683), რუსყოფილი, აწ კი აგრეთვე ჰოლანდიის სახელით მოთამაშე სერგეი ტივიაკოვი (2667), უკრაინელი სერგეი კარიაკინი (2678) და კიდევ ერთი, ოღონდ „ნაღდი" რუსი, ალექსანდრ მოტილევი (2647) — აი, ესენი იბრძოლებენ ვეიკ ან ზეეს რიგით 69-ე საჭადრაკო ფესტივალის მთავარი ტურნირის მთავარი პრიზისთვის და ბრძოლა ნაღდად მძაფრი იქნება, მით უმეტეს, რომ უმთავრესი ნაღმი პირველივე დღეს უნდა აფეთქდეს.



# რეგულარული ჩემპიონატი

# პატარა კროსბი და ბებერი საკიკი

## ხალხმა რჩეულები დაასახელა

**გუშინ** ოფიციალურად გამოცხადდა 24 იანვარს დალასში გასამართი ყველა ვარსკვლავის მატჩისთვის გულშემატკივართა მიერ არჩეული ძირითადი შემადგენლობები, რომელთა გადახედვისას შეიძლება ითქვას, რომ ეს ახალგაზრდობისა და გამოცდილების დაპირისპირება იქნება.

აღმოსავლეთის სასტარტო ექვსეულს „პიტსბურგის" 19 წლის ფენომენი სიდნი კროსბი უდგას სათავეში, რომელმაც საერთოდ ყველაზე მეტი, 825 783 ხმა დააგროვა. 1986 წლის შემდეგ, რაც ოლ სტარის საწყის შემადგენლობას გულშემატკივრები ავლენენ, „პატარა სიდი" ყველაზე ახალგაზრდა ჰოკეისტი იქნება, ყველა ვარსკვლავის მატჩის სასტარტო ხუთეულში რომ მოხვდა აქამდე ეს ტიტული იარომირ იაგრს ეკუთვნოდა, რომელიც 1992 წელს აირჩიეს — მაშინ ჩეხი 19 წლისა და 11 თვის იყო. ეს კროსბი კი იმ იაგრზე ექვსი თვით უმცროსია.

კროსბის გვერდს დაუმშვენებს მისი „ძველი" ოპონენტი, გასული წლის საუკეთესო ახალბედა და მიმდინარე ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი ალექსანდრ ოვეჩკინი.

ყველაზე დიდი წარმომადგენლობა კი ჩემპიონატის ლიდერ „ბუფალოს" ეყოლება, რომელიც საწყის ექვსეულში ერთბაშად სამი ჰოკეისტით არის წარმოდგენილი — მარჯვენაფლანგელი დანიელ ბრიარი, მცველი ბრაიან კემპბელი და მეკარე რაიან მილერი. „ბუფალოს" წარმომადგენლობა მარტო ამითაც არ შემოიფარგლა — აღმოსავლეთს ხომ „ხმლების" დამრიგებელი ლინდი რაფი უთავკაცებს.

კემპბელის გვერდით სასტარტო შემადგელობაში ადგილს „მონრეალის" მცველი შელდონ სურეი დაიკავებს, რომელიც აღმოსავლეთის ექვესეულში ერთადერთია, აქამდე ოლ სტარში რომ უთამაშია.

სამაგიეროდ, ძალიან გამოცდილი შემადგენლობა შეიკრიბა დასავლეთში, სადაც ყველაზე მეტი ხმა „კოლორადოს" უბერებელმა კაპიტანმა ჯო საკიკმა მიიღო. 37 წლის საკიკსთვის ეს მე-12 ოლ სტარია, რომელთაგან ოთხი სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო.

საკიკის მხარდამხარ თავდასხმაში „სან ხოსეს" დამრტყმელი ძალა, გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირი ჯო ტორნტონი და ასევე საუკეთესო სნაიპერი ჯონატან ჩიჩუ ითამაშებენ.

ძალიან სოლიდურად გამოიყურება დასავლეთის დაცვა, სადაც უკანასკნელ ხუთ წელიწადში ლიგის საუკეთესო უკანახაზელებად აღიარებული ჰოკეისტები — „დეტროიტისა" და „ანაჰაიმის" კაპიტნები, შესაბამისად ნიკლას ლიდსტრომი და სკოტ ნიდერმაიერი ითამაშებენ.

ყველასთვის მოულოდნელად, დასავლეთის კარს წლეულს აღმოსავლეთიდან გადაბარგებული „ვანკუვერის" მეკარე რობერტო ლუონგო დაიცავს, რომელმაც სულ მცირედით დაჯაბნა „კალგარის" ფინელი გოლკიპერი მიკა კიპრუსოფი.

**ქახა ლომჯარია** 

# სადღაა ძველი ჩხუბები

9 იანვარი

**ვაშინგტონი 6:2 ფილადელფია**
*2:0 2:0 2:2*
1:0 კლაიმერი (1), 2:0 ოვეჩკინი (7), 3:0 ოვეჩკინი (37), 4:0 ბრაშირი (38), 5:0 სიომინი (44), 5:1 კოლდერი (49), 5:2 კოლდერი (53), 6:2 სატერბი (59)

**კოლუმბუსი 3:4 სენტ ლუისი**
*1:1 1:0 1:2 0:0 (0:1 ბულიტები)*
1:0 ფრიჩი (10), 1:1 გერინი (16), 2:1 ჯონსონი (34), 2:2 ტკაჩუკი (42), 3:2 მალოტრა (44), 3:3 რუჩინსკი (53)

**მონრეალი 4:2 ატლანტა**
*0:1 1:1 3:0*
0:1 დევრიზი (14), 0:2 ლარსენი (21), 1:2 პლეკანეცი (36), 2:2 ლატანდრესი (41), 3:2 რაიდერი (50), 4:2 რეიდერი (58)

**კალგარი 3:0 მინესოტა**
*0:0 2:0 1:0*
1:0 ლუნგკუისტი (2), 2:0 ჯორდანი (38), 3:0 რიჩი (47)

**ოტავა 5:2 ბოსტონი**
*0:2 0:0 5:0*
0:1 შტურმი (3), 0:2 მარა (12), 1:2 კომრი (43), 2:2 ჰითლი (46), 3:2 ალფრედსონი (53), 4:2 ივზი (58), 5:2 შეფერი (59)

**ტამპა 3:2 პიტსბურგი**
*1:1 1:0 1:1*
0:1 კროსბი (1), 1:1 ლეკავალიე (7), 2:1 სენ ლუი (27), 3:1 კარლსონი (44), 3:2 არმსტრონგი (58)

**ტორონტო 1:4 კაროლინა**
*1:0 0:3 0:1*
1:0 მაკეიბი (16), 1:1 უოქერი (22), 1:2 ბელანჟე (23), 1:3 სტაალი (39), 1:4 უილიამსი (60)

**კოლორადო 3:4 დეტროიტი**
*1:1 1:1 1:1 0:0 (0:1 ბულიტები)*
0:1 ზეტერბერგი (8), 1:1 ვოლსკი (12), 1:2 დაციუკი (28), 2:2 ჰაიტი (33), 3:2 ჰეიდუკი (44), 3:3 ლანგი (46)

**ნეშვილი 5:4 ანაჰაიმი**
*3:1 1:3 0:0 1:0 (ოვერტაიმი)*
1:0 კარია (4), 1:1 კუნიცი (5), 2:1 ლეგვანდი (6), 3:1 ტიმონენი (18), 3:2 პენიე (24), 4:2 დიუმონი (28), 4:3 გეტცლაფი (32), 4:4 სელიანე (38), 5:4 სალივანი (64)

**დალასი 2:5 ფინიქსი**
*1:1 0:2 1:2*
1:0 ჰაგმანი (11), 1:1 როში (14), 1:2 ჟოვანოვსკი (30), 1:3 დოუნი (32), 2:3 ლეჰტინენი (41), 2:4 ნოლანი (56), 2:5 დოუნი (60)

**რეინჯერსი 3:5 აილენდერსი**
*2:2 0:1 1:2*
0:1 შატანი (6), 1:1 სტრაკა (7), 2:1 იაგრი (11), 2:2 უიტი (19), 2:3 სილინჯერი (27), 3:3 შენაჰენი (41), 3:4 კოზლოვი (46), 3:5 სილინჯერი (46)

**გუშინდელი** მატჩების მიმოხილვა დენვერული შეხვედრით დავიწყოთ — ჯერ კიდევ სამიოდე წლის წინ „დეტროიტ" — „კოლორადოს" დაპირისპირება ლიგის ყველაზე საინტერესო და დაძაბული ჯახი იყო, რომელიც ხშირად მასიური ჩხუბითა და ბლომად სისხლის ღვრით მთავრდებოდა. თუმც ლოკაუტის შემდეგ ამ დაპირისპირებას ძველებური ეშხი დაეკარგა და გუნდებიც ველარ ყოჩობენ ძველებურად.

გუშინდელი შეხვედრა მაინც საკმაოდ საინტერესო გამოდგა და საქმე ბულიტებამდეც მივიდა, სადაც გადამწყვეტი „წითელი ფრთების" შვედი ლიდერის ჰენრიკ ზეტერბერგის საჯარიმო დარტყმა აღმოჩნდა, რომელმაც უბრალოდ გააბითურა „ზვავების" მეკარე პეტერ ბუდაი და თავის გუნდს სამმატჩიანი წაგებათა სერია შეაწყვეტინა.

მიმდინარე სეზონში „ნიუ იორკ რეინჯერსი" ვერაფერს უხერხებს თანაქალაქელ „აილენდერსს" — ცხენოსანმა პოლიციელებმა აგერ უკვე მეოთხედ წააგეს, აქედან სამჯერ საკუთარი ტრიბუნების წინ „მედისონ სქვერ გარდენში". „რეინჯერებს" ვერც იარომირ იაგრის გამოღვიძებამ უშველა, რომელმაც უკანასკნელ ცხრა შეხვედრაში პირველი გოლი გაიტანა.

წარუმატებელი გამოუვიდა დაბრუნება „ბოსტონის" ახალბედა ფილ კესელს — სიმსივნის ამოჭრის შემდეგ ყინულზე პირველად გასულ ამერიკელს პარტნიორები ორ პერიოდში ნაჩვენები კარგი თამაშით საჩუქარს უმზადებდნენ და „ოტავას" სტუმრად ამარცხებდნენ, მაგრამ მესამე პერიოდში „სენატორთა" გამკავებელი არავინ აღმოჩნდა. ეგ კი არა, კანადელებმა კესელსაც არ დააკლეს და ერთიორჯერ ძალიან მწარედ დაახეთქეს ყინულზე.

**ქახა ლომჯარია**


კაროლინელი სეიდენბერგი ტორონტოელ მაკეობის წელში შეუვარდა

AFP


ფილ ვიკერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვარდები, ვარდები...

## ეშტონის ტონი: ვიკერი და ჯონი

**ინგლისის ნაკრების ახალმა მენეჯერმა, 60 წლის ბრაიან ეშტონმა საქმეს ხელი მოჰკიდა და ისე ჩანს, რომ შარშან ჩაფლავებული გუნდი წლეულს მაგრად მოუმატებს**

**მხცოვანმა** ეშტონმა 2003 წლის მსოფლიოს თასის მომგები „ვარდები" დეკემბერში ჩაიბარა, როდესაც მენეჯერის პოსტზე „ვარდების" დამჭკნობი ენდი რობინსონი შეცვალა.

ეშტონმა უკვე შეარჩია ის 32 მორაგბე 3 თებერვალს დასაწყებ ექვსი ერისთვის რომ დარაზმავს. ამასთან მხცოვან მენეჯერს არც მეორე, ანუ „ა" ნაკრების შედგენა გამორჩენია, ძირითადების შეცვლა რომ დასჭირდეს.

მეორე ნაკრებში, ანუ სამარქაფოთა სამარქაფოებში მოხვდნენ მსოფლიოს თასის მომგები და ერთ დროს კაშკაშა ვარსკვლავები: ბენ კოენი, ბენ კეი და რაჩარდ ჰილი. მეორად „ვარდებში" არიან შარშან გავერანებული ნაკრების ვითომ ლიდერები: ჯეიმს ფორესტერი, პეტ სანდერსონი, ნიკ ვუდი და ჯონი უილკინსონის უხეირო შემცვლელი ოლი ბარკლი.

ვერც ერთ ნაკრებში ვერ მოხვდა მუხლმაგარი, რკინისმუშტა და შარიანი მორკინალი ლოურენს დალალაო. ბებერ მორკინალს ნაკრებში მსოფლიოს თასის აქეთ არ უთამაშია — დაბრუნება კი უნდოდა, მაგრამ ეშტონმა კარი მიუხურა.

სამაგიეროდ, სამი ერის განაცხადში არიან ჯონი უილკონსონი, ვინც მხრის ტრავმამ აქამდე აუქმა და მოუხელთებელი ბოლო მცველი, მულატი ჯეისონ რობინსონი. რობინსონი 32 წლისაა და 39 სანაკრებო კეპი მოუხვეჭავს. ჩია, მაგრამ ფეხმარდ უნივერსალს ნაკრებში 2005 წლის სექტემბრის აქეთ არ უთამაშია. ეშტონის თქმით, რობინსონს ჯერჯერობით ძირითადში კი არა, სამატჩო 22-კაცა რაზმშიც არ აქვს გარანტირებული ადგილი, ხოლო ჯადო მორაგბე ჯონი უილკინსონი ისევ და ისევ ტრავმის გამო ექვსი ერის პირველ მატჩს უეჭველად გამოტოვებს.

ეშტონის გადაწყვეტილებით, „ვარდებს" ამიერიდან ჩაფსკვნილი მორკინალი ფილ ვიკერი უკაპიტნებს, ვინც თავისი ყოჩობა ბევრჯერ დაამტკიცა. ვიცე-კაპიტანი კი „ლესტერის" მორკინალი მარტინ ქორი იქნება. სამი ერის პირველ მატჩში, 3 თებერვალს, ინგლისი „თვიქნემზე" შოტლანდიას მასპინძლობს. საამატჩო გაფართოებული რაზმი ასეთია:

*უკანა ხაზი: იან ბოლშოუ, მაიკ ქეთი, მარკ კუეტო, ჰარი ელისი, ენდი ფარელი, ტობი ფლუდი, შეი გერეტი, ჯოშ ლუსი, ჯეიმი ნუნი, შონ პერი, ჯეისონ რობინსონი, პიტერ რიჩარდსი, პოლ საკი, მეტიუ ტაიტი, მაიკ ტინდალი, ჯონი უილკინსონი*

*მორკინალები: ალექს ბრაუნი, ჯორჯ ჩუტერი, მარტინ კორი, ლუის დიკონი, პერი ფრეშუოტერი, დენი გრივკოკი, მაგნუს ლუნდი, ლი მირსი, ლუის მუდი, ტიმ პეინ, ტომ პალმერი, ტომ რიისი, სტივ ტომპსონი, ფილ ვიკერი, ლენ უორდ-სმიტი, ჯულიან ვაიტი, ჯო ვორსლი*


ჯონი უილკინსონი

ცურვა



# ის, რაც ბანკის გაძარცვას ჰგავს

## შირლი ბაბაშოფმა ძველი დრო და დაკარგული ოქროები გაიხსენა

**ამ დღეებში** ამერიკის ოლიმპიურმა კომიტეტმა შირლი ბაბაშოფისგან, ცოტა არ იყოს, უჩვეულო თხოვნა მიიღო.

მანამ ამ თხოვნაზე ვიტყოდეთ რამეს, თავად ბაბაშოფის საარაკო სპორტული მიღწევები გავიხსენოთ. ამ ქალბატონმა ორ ოლიმპიურ თამაშებზე საერთო ჯამში რვა მედალი მოიპოვა. 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე თხუთმეტი წლის გოგონამ ცურვაში ერთი ოქროს და ორი ვერცხლის მედალი დაიმსახურა, ოთხი წლის მერე მონრეალში კი კვლავ ჩემპიონობა იზეიმა და კიდევ ოთხი ვერცხლის მედლით გაიმდიდრა ყულაბა. შირლი ბაბაშოფის სხვა თანამემამულეებმაც აუბეს მხარი, მაგრამ ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოცურავეებს მაინც ვერ აჯობეს. ან როგორ აჯობებდნენ, როცა აღმოსავლეთგერმანელები დოპინგით იყვნენ გაჭყეპილნი. მაშინ გერმანელმა მოზარდმა მოცურავეებმა რიგიანად თავადაც არ უწყოდნენ საკუთარი, საცურაო სადოპინგო ამბები, მერე კი, როცა წამოიზარდნენ, სკანდალიც ატყდა.

გასული წლის ბოლოს 184-მა გერმანელმა ვეტერანმა მოცურავემ, რომლებიც სახელმწიფო დოპინგურ პროგრამაში მონაწილეობენ, ფარმაცევტულ კომპანია „იენაფარმს“ სასამართლოში უჩივლეს და 11 200 დოლარი მოუგეს.

საქმე იმაშია, რომ გდრ-ის სპორტული უწყების ხელმძღვანელობას, ათლეტთა ნებართვის გარეშე, მათ ორგანიზმში ანაბოლური და სხვა პრეპარატები შეჰყავდათ, რომლებიც მოცურავეებს (და სხვებსაც) ფიზიკურ ძალას და ამტანობას მატებდათ. ამის შედეგად ბევრ სპორტსმენს შემდგომ ჯანმრთელობა შეერყა, „სამაგიეროდ“, ისინი მედალს მედალზე იმკიდნენ.

„ჩვენ ყველამ თუნდაც მორალური კომპენსაცია უნდა მივიღოთ — ამბობს შირლი ბაბაშოფი — ამერიკის ოლიმპიურ კომიტეტს ამ მხრივ რაღაცის გაკეთება შეუძლია, თუნდაც ჩვენი დამსახურებების სამახსოვრო მედლებით ან სხვა, რაიმე ფორმით აღნიშვნა. პატივი უნდა მივაგოთ თუნდაც ქალებს. ბევრი მათგანისთვის ეს საკითხი დიდი ხნის წინათ დაიხურა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს ასე არაა. ამ სკანდალთა თაობაზე ბევრმა არაფერი იცის, რადგან ამაზე ხმამაღლა მხოლოდ ახლაღა ალაპარაკდნენ. ჩვენ მედლებისკენ ფულის გამო არ მივილტვოდით. ის, რაც პატიოსანი შრომით მოვიპოვეთ, ყველას თვალწინ მოგვპარეს, დამნაშავენი კი დაუსჯელნი დარჩნენ. ეს ბანკის გაძარცვას ჰგავს...“

**ავთანდილ ტყვიშელი**

ავტორბოლა

# კაცი მოკვდა, ქარავანი მიდის

**აფრიკის** ლეგენდარული რალი-რეიდი ვერც ამჯერად გადაურჩა ტრაგედიას. უბედურება მეოთხე, მაროკოულ ეტაპზე მოხდა, როცა მონაწილეებს უდაბნოში 405-კილომეტრიანი ჩქარი უბნები უნდა დაეძლიათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყველამ ვერ შეძლო.



კარლოს საინსი

29 წლის სამხრეთაფრიკელი ახალბედა მოტომხედარი ელმერ სიმონსი თავისი რკინის რაშიდან გადმოვარდა და კისრის მოტეხვის შედეგად გარდაიცვალა. საორგანიზაციო კომიტეტმა ავარიის სიგნალის მიღებისთანავე სამედიცინო ვერტმფრენი აფრინა, მედიკოსები 8 წუთში ადგილზე გაჩნდნენ, მაგრამ ველარაფრით უშველეს დაშავებულს, გონზეც არ მოსულა, ისე დალია სული.

ბოლო სამ წელიწადში ეს მეოთხე ფატალური შემთხვევაა და თანაც ოთხივე მოტომრბოლებს მოუვიდათ. 2005 წელს დაიღუპნენ „დაკარის“ ექსტრიუმფატორი იტალიელი ფაბრიციო მეონი და ესპანელი დებიუტანტი ხოსე-მანუელ პერესი, ხოლო შარშან — 41 წლის ავსტრალიელი ენდი კალდეკოდი.

სიმონსი სამი ეტაპის შემდეგ აბსოლუტურ ჩათვლაში მე-18 პოზიციაზე იყო და ექვს საათზე, გამთენიისას იმედიანადაც გაუყვა „ტრასას“, მაგრამ 142-ე კილომეტრზე, ზესაშიში სექციის გავლისას საბედისწეროდ დაეცა...

ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ იგი ფლობდა კომპანიას, რომელიც აშშ-დან სამხრეთ აფრიკაში მეტალის დეტალების ექსპორტს ახორციელებდა. ეს მისთვის მრბოლის ამპლუაში პირველი „დაკარი“ იყო, მანამდე ტექნიკური დახმარების გუნდში საქმიანობდა. ამჯერად მხარდაჭერის ეკიპაჟში მისი ძმა კინგსლი შედიოდა.

რას ვიზამთ, ეს გრანდიოზული რალი-წარმოდგენა, რა თქმა უნდა, გრძელდება და იმედია, ათი დღის შემდეგ ფინიშზე სენეგალის დედაქალაქ დაკარში უმსხვერპლოდ მიგორდება.

გუშინდელმა მეხუთე ეტაპმა სატვირთო მანქანების ჩათვლაში შეცვალა ვითარება: ჩაგინს სიჩქარეთა გადართვის პრობლემამ ნახევარი საათი დააკარგვინა და ლიდერობა ჰოლანდიელმა ჰანს სტეისიმ იგდო ხელთ.

ავტომრბოლთა შორის ამჯერადაც კარლოს საინსმა იმარჯვა და თითქმის ოთხ წუთამდე გაზარდა მდევრებთან სხვაობა.

მოტოციკლებში ყველას ესპანელმა ესიდეე ესტევე პოუიოლმა აჯობა, თუმც საერთო ჩათვლაში მისი თანამემამულე მარკ კომაა წინ.

**გია ახალაძე**

ბიატლონი

## მსოფლიოს თასი. მეხუთე ეტაპი

### რუპოლდინგი (გერმანია). 10-14 იანვარი




# ტყვია ტყვიაში

## რუსებმა გერმანელები დაცხრილეს

**გერმანულ** რუპოლდინგში ბიატლონისტთა მსოფლიოს თასის მორიგი, მე-5 ეტაპი ქალთა 4X6 კილომეტრზე ესტაფეტით დაიწყო და ეს ესტაფეტა რუს ქალთა კვარტეტმა მოიგო. ბოგალი-ტიტოვეცის, ანისიმოვას, მალგინასა და გუსევას ოთხეულმა, მართლაც რომ ვორომილოვის მსროლელის სიზუსტე გამოიჩინა, ზედმეტ საჯარიმო წრეს ვინ ჩივის, ჯამში ერთადერთი ზედმეტი ვაზნა დახარჯა, ზუსტი სროლის წყალობით თოვლიან გზაზე დაკარგული დრო მოიგო და მეორე ადგილზე გასულ გერმანელებს, რომლებმაც სასროლეთზე 9 ზედმეტი ვაზნა გაიხმარეს, 7,9 წამი მოუგო.

### კაცები

#### ქალები 4X6 კმ ესტაფეტა (4X2 სასროლეთი)

| | |
|---|---|
| 1. რუსეთი (ბოგალი-ტიტოვეცი, ანისიმოვა, მალგინა, გუსევა) | 1 სთ. 20 წთ. 18,1 წმ (0 საჯარიმო წრე, 1 ზედმეტი ვაზნა) |
| 2. გერმანია (ჰიტცერი, ნოინერი, დენკინგერი, ვილჰელმი) | +7,9 წმ (0+9) |
| 3. საფრანგეთი (ბევერელ-რობერი, პერტო, ბეკარი, ბეი) | +2.14,4 (0+11) |
| 4. ნორვეგია | +2826,1 (0+5) |
| 5. ჩინეთი | +2.53,7 (0+11) |

ოლიმპიზმი

# შინაურები ერთმანეთს ებრძვიან

## ნაატლანტარ ამერიკას ოცი წლის თავზე ოლიმპიადა მოუნდა

**ოლიმპიური** თამაშების სამასპინძლოდ მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნის კი არა, ერთი სახელმწიფოს რამდენიმე ქალაქიც ებრძვის ერთმანეთს. შინაურ ბრძოლაში გამარჯვებულს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები ავლენს. აი ახლაც, 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებს სამასპინძლოდ ამერიკის რამდენიმე მოსურნე ქალაქი გასჩენია. ამერიკის ოლიმპიური კომიტეტის მეთაურმა პიტერ იუბეროტმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე თქვა, რომ იგი მხარს ლოს ანჯელესის ან ჩიკაგოს განაცხადს დაუჭერს. ყველაფერი წლეულს 14 აპრილს გაირკვევა, მანამდე კი შეგახსენებთ, რომ ამგვარ ბრძოლაში ლოს ანჯელეს დიდი გამოცდილება აქვს, რადგან იგი 1932 და 1984 წლებში უკვე მასპინძლობდა ოლიმპიურ თამაშებს.

**ავთანდილ ტყვიშელი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორჩილიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge